8-ლიზ პოლიმერებიდან აქტივობის გამოსავლის თვალსაზრისით საუკეთესო შედეგები მიღებულია 30 და 45 კილოდალტონი მოლეკულური მასის მქონეთათვის, ხოლო 4-ლიზ პოლიმერებმა მოლ. მასით 60 და 88 კილოდალტონი მოგვცეს ერთნაირი პროტეოლიზური აქტივობის გამოსავალი. პპკ-ს პროტეოლიზური (კაზეინოლიზური) აქტივობის შემცირება საწყის პპკ-სთან შედარებით, სავარაუდოდ, განპირობებული უნდა იყოს ფერმენტ-სუბსტრატის ურთიერთქმედების სივრცითი დაბრკოლებებით, რომელიც წარმოიქმნება ფერმენტის მოლეკულასთან შებმული პოლიმერული ლიგანდის გამო.

მაშინ როდესაც ნატიური პპკ-ს აქტივობა წყალხსნარებში 50^{0}C-ზე 20 საათის განმავლობაში კლებულობს საწყისის 25-30%-ის დონემდე, მოდიფიცირებული კომპლექსის პრეპარატების მდგრადობა გაცილებით მაღალი აღმოჩნდა. 4-ლიზ პოლიმერთან (მოლ.მასით 88 კილოდალტონი) ბმული პრეპარატის აქტივობა არ ეშვება საწყისის 60%-ის დონეზე დაბლა, ხოლო დანარჩენი მოდიფიცირებული პრეპარატების აქტივობა საწყისის 80-95%-ის დონეზე რჩება. პპკ-ს თერმოსტაბილურობის ზრდა წყალხსნარებში, ჩვენი აზრით, ორი ფაქტორის მოქმედების შედეგი უნდა იყოს: 1) თვითჰიდროლიზის პროცესის დამუხრუჭებით, რაც გამოწვეულია სივრცითი დაბრკოლებებით მასიური პოლიმერული ლიგანდის მიერ. 2) მპპკ-ს მოლეკულების გარემომცველი წყლის თვისებების შეცვლით, გამოწვეული პოლიმერული ლიგანდების ლიოფილური ხასიათის გამო [20].

ლიტერატურა

1. **Симпозиум "Применение протеолитических энзимов растения *Carica papaya* (лекозим, лекопаин) в широкой медицинской практике ". Москва, 1978г.**
2. **H.Koch Pharmacy 5, №2, p29,1984,;**
3. **M.J. Javid et al. The Journal of the American Medical Association, 249, №18, p2489-2494. 1983,**
4. **A.A., Vinogradova E.V., Kudryashova V.Ya., Grinberg N.V., Grinberg T.V. Burova and A.V. Levashov Protein Engineering, vol.14, N9, p683-689, 2001.**
5. **L.I., Mukhametova RB, GTu, Aisina Lomakina SD Varfolomeev. Bioorg. Khim28(4), p308-14. Links. . 2002 Jul-Aug.**
6. **N. Nakajima K.Ishihara, M.Sugimoto, T. Nakahara Biosci. Biotechnol. Biochem. 66(12), p2739-2742 (2002).**
7. **N.Nakajima, K.Ishihara, M.Sugimoto, H., Sumi K.,Mikuni Hamada H. Biosci. Biotechnol. Biochem.., 60(2),p 293-300. 1996, Feb**
8. **P.V. Sundaram and R. Protein Engineering, vol.11, no.8, p.699-705, 1998.**
9. **R. Venkatesh and P.V. Protein Engineering, vol.11, no.8, p.691-698, 1998.**
10. **N. Rajalakshmi PV. Protein. Eng., 8(10), p1039-47. 1995 Oct.,**
11. **HF Gaertner AJ Puigserver. Enzyme Microb. Technol. 14(2), p 150-51992 Feb.**
12. **IN Topchieva, EM Sorokina, EM Medvedeva, NV Efremova, BI Kurganov. Bioo. Khim. 25(7), p520-7. 1999 Jul.**
13. **ML Villalonga, M Fernandez, A Fragoso, R Cao, R Villalonga. Prep. Biochem. Biotechnol., 33(1), 53-66. 2003 Feb.**
14. **В.П. Торчилин, Ю.И., А.В. Воронков. Мазаев Терапевтический архив, 54(11), с 21-25,1982.**
15. **A.V. Maximenko, L.A Nadirashvili., A.D. Romaschenko, G.S.Erkomaishvili, V.V. Abramova, V.P. Torchilin Journal of Controlled Release, 10, p 131-143, 1989.**

16. **А.В. Максименко, Л.А. Надирашвили, В.В. Абрамова, Г.С. Еркомаишвили, Р.Д. Кацарава, В.П. Торчилин. Биотехнология, №1, с 29-32, 1990.**
17. **А.В. Максименко, Л.А. Надирашвили, В.В. Абрамова, Г.С. Еркомаишвили, В.П. Торчилин. Биотехнология, №1, с 56-60, 1990.**
18. **А.В. Максименко, Л.А. Надирашвили, А.Д. Ромащенко, Г.С. Еркомаишвили, В.П. Торчилин Биотехнология, №2, с 57-60, 1990.**
19. **M.I. Papisov, A.V. Maksimenko, V.P. Torchilin Enzyme Microb. Technol., , v.7, №1, c11-16, 1985.**
20. **а) Е.Д. Каверзнева Прикл. Биохим. и микробиол. 7(2), с 225-228, 1971.**
б)Карипазим. Регистрационное удостоверение лекарственного средства МЗ РФ П№013577/01. 2008
22. **გ. ერქომაიშვილი დ.ჭანტურია, ლ.ვადაჭკორია, ლ.ნადირაშვილი. კარიპაზიმის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი – დასაბეჭდად.**
21. **G.F. Back, D.Oakenful, M.B Smith. Biochemistry, 18(23), p 5191-96, 1979.**

რეზიუმე

პაპაიას ფერმენტების კომპლექსის ქიმიური მოდიფიკაცია პოლიამიდური ლიგანდებით

გ.ერქომაიშვილი, ლ.ნადირაშვილი, დ.ჭანტურია, ლ.ვადაჭკორია, ი.დადეშიძე

პაპაიას პროტეაზების კომპლექსი (პპკ), რომელიც მიიღება პაპაიას (Carica papaya) უმწიფარი ნაყოფების რძეწვენისაგან და რომელსაც აქვს მაღალი პროტეოლიზური, ანთებისსაწინააღმდეგო და ნეკროლიზური თვისებები, ძალზე ეფექტურია მრავალი დაავადებების მკურნალობისას, რომლებიც დაკავშირებულია ქსოვილთა დეგენერაციულ ცვლილებებთან, მაგრამ მისი გამოყენება შედარებით შესღუდულია ალერგენული მოქმედების გამო. ამ არასასურველი თვისებების შემცირების, ხსნარებში თერმოსტაბილურობის გაზრდის მიზნით ჩატარებულია პპკ-ს ქიმიური მოდიფიკაცია პოლიამიდური ლიგანდებით (მოლ.მასები 30-88კდალტონი), რომლებიც წარმოადგენენ ლიზინის პოლიკონდენსაციის პროდუქტებს ადიპინის ან სებაცინის მჟავებთან (4-ლიზ და 8-ლიზ, შესაბამისად). მოდიფიცირებულმა პრეპარატებმა შეინარჩუნეს საწყისი პროტეოლიზური აქტივობის 80-95% და, ამასთან, მკვეთრად გაიზარდა მათი მდგრადობა ხსნარებში 50^{0}C-ზე.

Summary

CHEMICAL MODIFICATION OF THE COMPLEX OF THE ENZYMES OF PAPAYA BY THE POLYMERIC LIGANDS

G.Erkomaishvili, L.Nadirashvili, D. Chanturia, L.Vadachkoria, I.Dadeshidze

The complex of the papaya proteases (CPP) obtained from the latex of unripe fruits of papaya (Carica papaya). possessing high proteolytic, antipyretic and necrolitic properties, effective for the treatment of many diseases which are related with degenerate changes in the tissues, adapts on the relatively limited scales of application due to the allergenic action. For the purpose of the elimination of these undesirable properties, strengthening of thermostability in the solutions, the chemical modification CPP by polyamide ligands with the Molecular Weight from 30 to 88 kDa - by products of polycondensation of lysine with the adipic or sebacic acid (4- Lys and 8- Lys, respectively) is carried out. The modified preparations preserved 80-95% of initial proteolytic activity of CPP with a sharp increase of the stability in the solutions under 50^{0}C.

Резюме

ХИМИЧЕСКАЯ МОДИФИКАЦИЯ КОМПЛЕКСА ФЕРМЕНТОВ ПАПАЙН ПОЛИМЕРНЫМИ ЛИГАНДАМИ

Г.Еркомаишвили, Л.Надирашвили, Д. Чантурия, Л.Вадачкория, И.Дадешидзе

Комплекс протеиназ папайи (КПП), добываемый из млечного сока незрелых плодов папайи (*Carica papaya*), обладая высокими протеолитическими, противовоспалительными и некролитическими свойствами. неоценимый при лечении многих заболеваний, связанных с дегенеративными изменениями тканей, применяется в относительно ограниченных масштабах из-за аллергенного действия. С целью устранения этих нежелательных свойств, усиления термостабильности в растворах, проведена химическая модификация КПП полиамидными лигандами с мол. массами от 30 до 88 кДа – продуктами поликондесации лизина с адипиновой или себациновой кислотой (4-лиз и 8-лиз, соответственно). Модифицированные препараты сохранили 80-95% исходной протеолитической активности КПП при резком увеличении устойчивости в растворах при 50^{0}C.

ხელსაწყო და მეთოდი ცხოველთა ტყავში პროტეოლიზური ფერმენტების ელექტროფორეზით განვლადობის *in vitro* შესწავლისათვის

გ.ერქომაიშვილი, ლ.ვადაჭკორია, ლ.ნადირაშვილი, დ.ჭანტურია

უკანასკნელ ათწლეულში საკმაოდ ფართო გამოყენება ჰპოვა საქართველოში, იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შემუშავებული პრეპარატის – კარიპაზიმის ელექტროფორეზის მეშვეობით ისეთი დაავადებების მკურნალობამ, როგორებიცაა თავის ქალა – ტვინის და სპინალური ტრავმები, ანთებითი და დეგენერაციული პროცესები ხერხემალში და მის შემაკავშირებელ აპარატში (ოსტეოქონდროზი, იშიასი), ასევე, ისეთი პათოლოგიებისა, რომლებიც დაკავშირებულია თავისა და ზურგის ტვინის, პერიფერიული ნერვებისა და მათი ფესვების გარსებში ნაწიბურ-შეხორცებით პროცესებთან [1].

რამდენადმე ადრე ამგვარი მიზნებისათვის გამოიყენებოდა იუგოსლავიური პრეპარატი ლეკოზიმი[2]. ლეკოზიმი და კარიპაზიმი წარმოადგენენ პაპაიას (Carica papaya) უმწიფარი ნაყოფების რძეწვენისაგან მიღებული ფერმენტების (უმთავრესად – მძლავრი სულფჰიდრილური პროტეაზების და ე.წ. პაპაიას ლიზოციმის) კომპლექსს[3].

სამკურნალო ნივთიერებების ელექტროფორეზის მეშვეობით ორგანიზმში შეყვანის პროცესები ინტენსიურად შეისწავლება და ამჟამად უკვე ბევრი რამ არის ცნობილი მათ შესახებ [4], მათ შორის – პეპტიდებისა და ცილების ტრანსდერმალურად შეყვანის შესახებ[5]. გამოთქმულია მოსაზრება, რომ კათიონური ხასიათის ცილები, რომელთა მოლეკულური მასა აღემატება 1000 დალტონს, დერმალურ ბარიერს გადიან არა ელექტრომიგრაციის მექანიზმით, არამედ – ელექტროსმოსის [6,7]

მიუხედავად დაგროვილი ინფორმაციისა, პრაქტიკულად არაფერია ცნობილი შედარებით დიდი მოლეკულური მასის მქონე ცილების ელექტროშეღწევადობის მექანიზმზე კანის ბარიერში, თუმცა ცნობილია, რომ გარკვეული სამკურნალო ეფექტი მიიღწევა გიალურონიდაზის, ლიდაზის, ფიბრინოლიზინის, ტრიფსინისა და ქიმოტრიფსინის ელექტროფორეზით[4 (გვ. 142-174)]. პაპაიას ფერმენტების მოლეკულური მასები 22-26 კილოდალტონის ფარგლებშია [3], რაც საგრძნობლად უნდა აფერხებდეს მათ მოძრაობას, მიუხედავად იმისა, რომ წყალხსნარებში (pH 4-6) ისინი კათიონებს წარმოადგენენ, რადგან მათი იზოელექტრული წერტილები (pI) ტუტე არეშია. მაგრამ ყველაზე საყურადღებო უნდა იყოს ის გარემოება, რომ პაპაიას მძლავრი პროტეაზები უნდა მოქმედებდნენ თვით სატრანსპორტო გარემოზე

– კანის ცილოვან სტრუქტურაზე, რაც უნდა ცვლიდეს მათი განვლადობის მექანიზმსაც.

ბიოლოგიურ ბარიერებში პაპაიას ფერმენტების კომპლექსის (ლეკოზიმის) განვლადობის კვლევა განხორციელდა გელ-ელექტროფორეზის მეთოდის გამოყენებით. ბიოლოგიურ მასალად გამოყენებული იყო თვალის რქოვანა გარსი, ბოცვერის თავის ტვინის მყარი გარსი და ადამიანის კანი. ამ ბიოლოგიურ ბარიერებში გავლილი ფერმენტული კომპლექსის კომპონენტების იდენტიფიკაცია ტარდებოდა მათი Rf-ების თანმიმდევრობაზე დაყრდნობით. აღმოჩნდა, რომ გამოყენებულ ბიოლოგიურ მასალაში აღინიშნება მკვეთრად გამოხატული მაკროსკოპული ცვლილებები. იმ შემთხვევაში, როცა ფერმენტული კომპლექსი წინასწარ იყო ინჰიბირებული, მისი კომპონენტები საერთოდ ვერ გადიოდნენ ბიოლოგიურ ბარიერებში ელექტრული ველის მეშვეობითაც კი [2 (გვ.54-57)]. უნდა ვიფიქროთ, რომ ფერმენტული მოქმედება (პროტეოლიზური) გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს ამგვარი ფერმენტების ტყავის ბარიერის ელექტროგანვლადობაში.

უცნობია, თუ ელექტროდზე მოდებული ფერმენტის რაოდენობის რა წილი გააღწევს კანის ბარიერს, რამდენი გროვდება კანქვეშა ქსოვილში (რომელიც, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ერთგვარ "დეპოს" ელექტროფორეზით შეყვანილი სამკურნალო ნივთიერებებისათვის) [4 (გვ. 52-55)].

მეთოდები და მასალები. იმისათვის, რომ ნაწილობრივ მაინც გაირკვეს ელექტროფორეზისას კარიპაზიმის კანში განვლადობის ზოგიერთი კანონზომიერება, ჩვენს მიერ შექმნილია მარტივი ხელსაწყო და მეთოდი in vitro ექსპერიმენტებისათვის ცხოველთა ტყავის პრეპარატების გამოყენებით. ხელსაწყოს სქემა მოცემულია ნახატზე.



1. მუდმივი დენის წყაროდ გამოყენებულია გელ-ელექტროფორეზის დენის წყარო ПЭФА-1 –ის მკვებავი ბლოკი БП.
2. მიკროამპერმეტრი 1000μA, დანაყოფის ფასი - 20μA.
3. წინაღობების მაღალია P-33, ჯამური წინაღობით 0,1 MΩ.
4. თერმოსტატირებული კიუვეტა, შიგა დიამეტრი 43 მმ, სიმაღლე – 43 მმ.
5 და 6. გრაფიტის ელექტროდები, დიამეტრი 8,5 მმ, სიგრძე -56 მმ. დადებითი ელექტროდი (5) ჩასმულია პლასტმასის ქილაში, ხოლო უარყოფითი (6) დამაგრებულია პლასტმასის ქილის გარეთ.
7. კიუვეტა ანოდური ხსნარისათვის წარმოადგენს პლასტმასის ქილას მიხრახნილი სახურავით, დიამეტრი 36 მმ, სიმაღლე სახურავიანად – 56 მმ. სახურავში ამოჭრილია წრიული ნახვრეტი დიამეტრით 18,5 მმ (ფართი 2,69სმ²); ფსკერში ამოჭრილია ორი ნახვრეტი: ერთში მჭიდროდაა ჩასმული გრაფიტის დადებითი ელექტროდი, მეორე, ფართო ნახვრეტით კიუვეტაში შეაქვთ ფერმენტის (ანოდური) ხსნარი.
8. ტყავის პრეპარატის მემბრანა იდება პლასტმასის ქილის ყელზე და სახურავის მიხრახნით ჰერმეტულად მაგრდება.
9. ფერმენტის ხსნარი (ანოდური ხსნარი), წინასწარ ისაზღვრება ხსნარის pH და კუთრი ელექტროგამტარობა.
10. კათოდური ხსნარი.

სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ვერ იქნა ნაპოვნი ამგვარი ექსპერიმენტებისათვის ადექვატური, ადამიანის ცოცხალი კანის მსგავსი ტყავის პრეპარატი. არც თუ დიდი ხნის წინ გამოქვეყნდა ნაშრომი, სადაც in vitro ელექტროფორეზში გამოიყენეს ღორის ყურის ტყავი და ადამიანის კანი (კოსმეტიკური ოპერაციისას ამოკვეთილი), მაგრამ ორივე შემთხვევაში - 20^{0}C-ზე გაყინულ მდგომარეობაში შენახვის შემდეგ (2 კვირამდე)[8]. გაცილებით უკეთესი უნდა იყოს 3 დღის ასაკის გოჭების ტყავი, რომელიც გამოიყენებოდა დაკვლიდან 2 საათის განმავლობაში [9]. ყველაზე ადექვატური იქნებოდა ტყავი „ცოცხალ" მდგომარეობაში, ანუ ცოცხალი ცხოველიდან აღებისთანავე გამოყენებული in vitro ელექტროფორეზულ ექსპერიმენტში.

ხელსაწყოს გამოსაცდელად და მუშაობის მეთოდიკის შესამუშავებლად ჩვენ მივიჩნიეთ შესაძლებლად კანის (ტყავის) მოდელად გამოყენებული ყოფილიყო გაყინული ქათმის ტყავი. რიგი ცდებით დადგინდა, რომ ელექტროფორეზის პროცესში ადგილი აქვს მის ლიზისს, გათხელებას და 3-4-ჯერადი გამოყენების შემდეგ ეს მემბრანა ჰკარგავს ჰერმეტულობას. ამიტომ, მათ ვიყენებდით მხოლოდ ერთჯერადად. შესადარებელი ცდებისათვის გამოიყენებოდა ტყავის ნაჭრები მეზობელი უბნებიდან.

კათოდურ სივრცეში (თერმოსტატირებული კიუვეტა) შეაქვთ 10მლ 0,067მოლ/ლ ფოსფატის ბუფერული ხსნარი pH 6,9. ანოდურ კიუვეტაში ათავსებენ 10 მლ ფერმენტის წყალხსნარს კონცენტრაციით 35-45 პე/მლ.[1] პროცესი მიმდინარეობს 38 ან 40^0 C-ზე, დენის ძალა რეგულირდება მკვებავი ბლოკისა და წინაღობის მაღაზიის მეშვეობით, ხოლო კონტროლი – მიკროამპერმეტრით. გამოიყენება დენის ძალები 500-520μA (186-194μA/ სმ^2). ძაბვა ელექტროდებზე კონტროლდება ეპიზოდურად და არ აღემატება 1-3 ვოლტს.

ცალკე პრობლემას წარმოადგენდა კანში გავლილი ფერმენტის აღმოჩენა და მისი აქტივობის განსაზღვრა კათოდურ ხსნარში. ცილის კონცენტრაციის ზრდის მიხედვით ელექტროფორეზის ეფექტურობის შეფასება კათოდური ხსნარის სპექტროფოტომეტრირებით 280ნმ-ზე, მიუხედავად განსაზღვრის მეთოდის სიმარტივისა, შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან კათოდურ ხსნარში ელექტრული დენის გავლენით გადადის ცილები ტყავის პრეპარატიდანაც, მათ შორის –

[1] პროტეოლიზური აქტივობის ერთეულად (პე) მიჩნეულია ისეთი ფერმენტული მოქმედება, რომელიც უზრუნველყოფს 1 წუთში, 40^{0}C-ზე და pH 6,9 პირობებში კაზეინის ისეთი რაოდენობის გარდაქმნას სამქლორძმარმჟავით დაულექავ მდგომარეობაში, რომელიც შეესაბამება 1 მიკრომოლ თიროზინს.

პროტეაზების მიერ ტყავის ცილების ლიზისის პროდუქტები. ფერმენტული აქტივობის აღმოსაჩენად და განსასაზღვრავად ვარგისი აღმოჩნდა შედარებით მგრძნობიარე მეთოდი მყარი შეღებილი სუბსტრატის (შეღებილი ტყავის ფხვნილი) გამოყენებით [10].

მეთოდი ამ შემთხვევაში რამდენადმე მოდიფიცირებულია შემდეგნაირად: ელექტროფორეზის პროცედურის დამთავრების შემდეგ კათოდური ხსნარიდან 5 მლ გადმოაქვთ მშრალ სინჯარაში, უმატებენ 20 მგ ცისტეინს (მიიღება მისი კონცენტრაცია 0,033 მოლ/ლ), 15 მგ ტრილონ-ბ-ს (მიიღება კონცენტრაცია 0,008 მოლ/ლ), ხსნარს აყოვნებენ ოთახის ტემპერატურაზე (20-23^{0}C) 10 წუთს, ამატებენ 20მგ შეღებილი ტყავის ფხვნილს, სწრაფად ურევენ და დგამენ თერმოსტატში 40^{0}C-ზე 10 წთ. (იმ შემთხვევაში, როცა ფერმენტის რაოდენობა კათოდურ ხსნარში მცირეა, სავსებით შესაძლებელია სუბსტრატის ლიზისის დროის გაზრდა). შემდგომ ამისა ხსნარი სწრაფად იფილტრება ქაღალდის ფილტრში, ისაზღვრება ფილტრატის შთანთქმა 595 ნმ-ზე. შთანთქმის მაჩვენებლები გამოიყენება ურთიერთშესადარებლად და დასკვნების გამოსატანად, თუმცა შესაძლებელია ტყავის მემბრანაში გავლილი და კათოდურ ხსნარში მოხვედრილი ფერმენტული (პროტეოლიზური) ერთეულების გამოთვლაც [10].

პროტეოლიზური ერთეულების (პე)[1] რაოდენობა კათოდურ ხსნარში გამოითვლება ფორმულით:

$$\frac{m}{90 \times 5 \times n} \times 10 \text{ პე}$$

სადაც: m - ჰიდროლიზებული შეღებილი სუბსტრატის მასა, ნაპოვნი საკალიბრო მრუდის მეშვეობით (მგ).

90 - შეღებილი სუბსტრატის მასა, რომლის ჰიდროლიზს უზრუნველყოფს 1 პროტეოლიზური ერთეული (მგ/პე) (დადგენილი სუბსტრატის მოცემული პარტიისათვის [10]).

5 - საანალიზოდ აღებული კათოდური ხსნარის მოცულობა (მლ).

10 - კათოდური ხსნარის მოცულობა (მლ).

n - ლიზისის დროის (10წუთი) ზრდის კოეფიციენტი.

მიღებული შედეგები და დასკვნები

ჩატარებული ექსპერიმენტების მეშვეობით შემოწმდა ჩვენს მიერ შექმნილი ხელსაწყოს ვარგისიანობა და გაირკვა პაპაიას პროტეაზების კომპლექსის ელექტროფორეზის ზოგიერთი თავისებურებანი. ამ სამოდელო ცდებიდან

დადგინდა, რომ ელექტროფორეზის დამთავრებისას ფერმენტული აქტივობის შესამჩნევი რაოდენობა (თითქმის იმდენი, რამდენიც გადის კათოდურ ხსნარში) რჩება ტყავის პრეპარატში, რის განსაზღვრაც ხდებოდა შემდეგნაირად: ელექტროფორეზის პროცესის დამთავრების შემდეგ მთელი სისტემა ირეცხება წყლით, ფერმენტის ხსნარის (ანოდური ხსნარის) მაგივრად შეაქვთ 10 მლ წყალი, ხოლო კათოდური ხსნარი იცვლება ახალი 10მლ ისეთივე ბუფერული ხსნარით, კვლავ ჩართავენ დენს და პროცესი მიჰყავთ 30-60 წუთის განმავლობაში, რის შემდეგ საზღვრავენ პროტეოლიზურ აქტივობას კათოდურ ხსნარში ზემოთაღწერილი მეთოდით.

გაირკვა, რომ ელექტროდენის გაუტარებლად ადგილი არა აქვს ფერმენტის განვლადობას ტყავის მემბრანაში 15 წუთის განმავლობაში, არც მის აკუმულირებას მემბრანაში, რაც დადასტურდა დენის მეშვეობით მემბრანიდან ფერმენტის გამოდევნის ცდით 60 წუთის განმავლობაში. (აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ რეკომენდაციები, რომლებსაც იძლევიან ზოგიერთი კლინიცისტები, ამ ფერმენტის შემცველი მალამოების წასმისა კანზე ხერხემლის დაზიანებული უბნის მიდამოში ელექტროფორეზის გარეშე, სრულიად უსარგებლოდ გამოიყურება).

კათოდურ ხსნარში გადასული და ტყავის მემბრანაში ჩარჩენილი პროტეოლიზურ ერთეულთა ჯამი არ აღემატება ანოდურ ხსნარში მოთავსებული ფერმენტის პროტეოლიზურ ერთეულთა 0,03%-ს (470პე-დან ~0,12-0,15პე). ე.ი. 2,69სმ^2 ფართობის მქონე ტყავის მემბრანაში შედის 0,13-0,15პე. მკურნალობისას გამოიყენება ელექტროდის საფენები ~ 150სმ^2 ფართობის. ასეთი საფენებიდან, ერთი პროცედურის განმავლობაში პაციენტის კანში უნდა შევიდეს, დაახლოებით, 7-8 პე, ხოლო 10-15 პროცედურისას – 70-120 პე. შესადარებლად მოვიყვანთ მაგალითს პაპაიას პროტეაზების პრეპარატ „ლეკოზიმის“ გამოყენების ინსტრუქციიდან: „მალთაშორისი დისკის თიაქრისას იყენებენ 35-75 FIPU პრეპარატ ლეკოზიმს ენზიმატური ხსნარის სახით, რომელიც შეჰყავთ უშუალოდ დისკში. დეგენერაციული დისკის შემთხვევაში საკმარისია დოზა 20-35 FIPU“. ჩვენს მიერ გამოყენებადი პროტეოლიზური ერთეულები „პე“ რამდენადმე ნაკლებია „ FIPU“-ზე (თანაფარდობაა ~ 0,8:1), ასე რომ ელექტროფორეზის ერთი კურსის განმავლობაში პაციენტი თანდათანობით ღებულობს ფერმენტის ისეთ რაოდენობას, რომელიც თანაზომადია მისი ერთჯერადი ინექციით შეყვანისა დისკში.

ჩატარებული ექსპერიმენტებით ასევე ვცადეთ გაგვერკვია ანოდურ ხსნარში დიმეთილსულფოქსიდის 2-3 წვეთის შეტანის ეფექტი (6 ცდა). მიუხედავად

მიღებული შედეგების დიდი განბნევისა, რაც გამოწვეული იყო ქათმის ტყავის პრეპარატების არაერთგვაროვნებით, მაინც დადასტურდა, რომ დიმეთილსულფოქსიდის თანაობისას ფერმენტის განვლადობა იზრდება 12-15%-ით. ასევე, ვირთაგვას „ცოცხალ", ახლადაღებულ ტყავის პრეპარატზე ჩატარებულმა ცდამ აჩვენა, რომ დიმეთილსულფოქსიდის გავლენით ფერმენტის განვლადობა გაიზარდა 13,4%-ით.

უკვე კარგად ცნობილი ელექტროფორეზის კანონზომიერებებიდან მნიშვნელოვანია ე.წ. „პარაზიტული იონების" გავლენა ელექტროფორეზულ განვლადობაზე. იგულისხმება ის გარემოება, რომ დენის ძალის სიმკვრივე (დენის ძალა კანის ფართობის ერთეულზე) არ უნდა აღემატებოდეს გარკვეულ ზღვარს (~0,1 -0,2 mA/ სმ^2) [4, (გვ.47)]. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია კანის დაზიანება. თუ გამოყენებული დენის საგრძნობი ნაწილი იხარჯება ე.წ. „პარაზიტული იონების" გადატანაზე, ფერმენტის დამუხტული მოლეკულების გადატანა მცირდება [4, (გვ.36); 9].

პარაზიტული იონების რაოდენობის შეფასება შესაძლებელია ფერმენტის ხსნარის ელექტროგამტარობის განსაზღვრით. ფერმენტის კონცენტრაცია შეადგენდა 10 მგ/მლ (პრაქტიკულად პაპაიას პროტეაზების კომპლექსის ასეთი კონცენტრაცია იხმარება კლინიკებში ელექტროფორეზით მკურნალობისას). კარიპაზიმის სხვადასხვა დროს დამზადებული ნიმუშების წყალხსნარების კუთრი ელექტროგამტარობა მერყეობდა 1,6 – 4,8 mScm^{-1}(25^{0}C) ფარგლებში, კარიპაზიმის წარმოების საწყისი ნედლეულის (ე.წ. „კომერციული პაპაინის") წყალხსნარებისა – 0,468 mScm^{-1}-დან 6,98mScm^{-1}-მდე 25^{0}C-ზე. შემოწმდა, აგრეთვე, ფიზიოლოგიური ხსნარის კუთრი ელექტროგამტარობა (გამოხდილი წყლის პარალელურად, რეკომენდებულია კარიპაზიმის გასახსნელად ელექტროფორეზით მკურნალობის პროცედურისათვის), რომელიც აღმოჩნდა 17,2 mScm^{-1}-ის ტოლი (25^{0}C).

ცხადია, რაც უფრო ნაკლებია ფერმენტის ხსნარის ელექტროგამტარობა, მით უფრო ეფექტური უნდა იყოს ფერმენტის გადატანის პროცესი. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე, ფიზიოლოგიური ხსნარი არ შეიძლება იყოს რეკომენდირებული ფერმენტის საელექტროფორეზო ხსნარის დასამზადებლად. ეს დასკვნა შემოწმდა ჩვენს მიერ ჩატარებული შემდეგი ცდებით: დამზადდა პაპაიას პროტეაზების კომპლექსის ერთი და იგივე ნიმუშის ორი ხსნარი კონცენტრაციით 10 მგ/მლ, ერთი – გამოხდილ წყალზე, მეორე – ფიზიოლოგიურ ხსნარზე. პირველი ხსნარის კუთრი ელექტროგამტარობა იყო ტოლი 0,45 mScm^{-1}, მეორისა – 17,5 mScm^{-1}(25^{0}C). ელექტროფორეზი ტარდებოდა 40^{0}C-ზე, 25 წუთის განმავლობაში, დენის

ძალის სიმკვრივე 180 μA/ სმ^2. მიუხედავად შედეგების საკმაო განბნევისა, რაც გამოწვეული იყო ტყავის პრეპარატების არაერთგვაროვნობით, ფიზიოლოგიური ხსნარიდან მემბრანაში გასული ფერმენტული აქტივობის საშუალო კლება შეადგენდა 37-47%-ს. ამგვარად დადასტურდა პარაზიტული იონების არასასურველობა საელექტროფორეზო ხსნარში. როგორც ჩანს, ელექტროფორეზისათვის განკუთვილი კარიპაზიმის პრეპარატებისათვის, სხვა ნორმატიულ მაჩვენებლებთან ერთად, უნდა დადგინდეს მისი ხსნარების კუთრი ელექტროგამტარობის ნორმაც, ხოლო ფიზიოლოგიური ხსნარი ამოღებული უნდა იქნას გამოყენების ინსტრუქციიდან.

საინტერესოა ჩვენს მიერ მოხალისე პაციენტზე ჩატარებული ცდა (ერთ-ერთ ავტორთაგანი): წინამხარზე მოთავსებულ იქნა საფენი, დასველებული მაღალი აქტივობის მქონე პაპაიას პროტეაზების კომპლექსის პრეპარატის ხსნარით მომატებული კონცენტრაციით (83 პროტეოლიზური ერთეული 1 მლ-ში, რაც 2,3-ჯერ სჭარბობდა კარიპაზიმისთვის ინსტრუქციით გათვალისწინებულს). ექსპოზიციის ხანგრძლივობა შეადგენდა 30 წუთს (2-ჯერ მეტი ინსტრუქციით გათვალისწინებულზე), რის შემდეგ კანზე არ აღინიშნა არავითარი ცვლილება. ასეთივე საფენი, ანოდური ელექტროდით, ხოლო კათოდი - ფიზიოლოგიურ ხსნარში დასველებული საფენი წინამხრის ქვედა მხარეზე; დენის ძალის სიმკვრივე ~0,2 mA/ სმ^2, რაც ორჯერ მეტი იყო ინსტრუქციით გათვალისწინებულზე. ხანგრძლივობა 30 წუთი (2-ჯერ მეტი ინსტრუქციით გათვალისწინებულზე), რის შემდეგ ორივე ელექტროდის ქვეშ კანზე აღინიშნა გიპერემია, რომელიც მეორე დღეს პრაქტიკულად აღარ შეინიშნებოდა.

ამრიგად, პრეპარატის გაზრდილი დოზა და ექსპოზიციის გახანგრძლივება დენის გარეშე არ ახდენენ კანზე არავითარ გავლენას. ცვლილებები კანზე შეინიშნება მხოლოდ დენის გავლისას.

ლიტერატურა

1. **В.Л. Наидин, Ю.Г. Бобков, П.Е. Юрищев** რუსეთის პატენტი **RU 2 141 359, 1999.**
2. **Симпозиум «Применение протеолитических энзимов растения Carica papaya в широкой медицинской практике», Москва, 18-19 июля 1978.**
3. **M.Azarkan, A.El Moussaoi, D. van Wuytswinkel, G. Deron Looze Yvan. Journal of Cromatography B, 790, p 229-238,2003.**
4. **В.С. Улащик Теория и практика лекарственного электрофореза. Минск, 1976.**
5. **Y.B. Schuetz, A. Naik, R.H. Guy, Y.N. Kalia. Expert. Opin. Drug Delivery, 2, p533-548, 2005.**
6. **R.H. Guy, M.B. Delgado-Charro, Y.N. Kalia. Skin Pharmacol.Appl. Skin Physiol., 14 (suppl. 1), p 35-40, 2001.**
7. **N. Abla, A. Naik, R.H. Guy , Y.N. Kalia J.Control.Release 108, p319-330, 2005.**
8. **D. Marro, R.H. Gay, M.B. Delgado-Charo Journal of Controlled Release 70, p213-217, 2001.**
9. **V. Kotval, K. Brise, R. AAPS PharmSci Tech 8(4)** Article 120, 2007.

10. Г.С. Еркомаишвили, Л.В. Вадачкория, Л.А. Надирашвили, Д.Г. Чантурия. Georgia Chemical Journal, 4(3), p 265-269, 2004

რეზიუმე

ხელსაწყო და მეთოდი ცხოველთა ტყავში პროტეოლიზური ფერმენტების ელექტროფორეზით განვლადობის *in vitro* შესწავლისათვის

გ.ერქომაიშვილი ლ.ვადაჭკორია, ლ.ნადირაშვილი, დ.ჭანტურია

შექმნილია მარტივი ხელსაწყო და შემუშავებულია მეთოდი ცხოველის ტყავის მემბრანაში პროტეოლიზური ფერმენტების ელექტროფორეზის კანონზომიერებების შესასწავლად in vitro ექსპერიმენტებში. ნაჩვენებია, რომ პაპაიას პროტეაზები ელექტროდენის გარეშე არა მარტო ვერ გადიან გაყინული ქათმის ტყავის ბარიერში, არამედ საერთოდ ვერ შედიან მასში. ელექტრომიგრაციისას პაპაიას პროტეაზების გარკვეული ნაწილი რჩება ტყავის სტრუქტურაში. გაყინული ქათმის ტყავისა და ვირთაგვას „ცოცხალ" ტყავზე ექსპერიმენტებით ნაჩვენებია, რომ დიმეთილსულფოქსიდი (2-3 წვეთი 10 მლ ანოდურ ხსნარში) ზრდის პაპაიას პროტეაზების განვლადობას 12-14%-ით. დადასტურდა ფიზიოლოგიური ხსნარის „პარაზიტული" იონების უარყოფითი გავლენა პაპაიას პროტეაზების ელექტროფორეზზე, რაც ეჭვის ქვეშ აყენებს გამსხნელად ფიზიოლოგიური ხსნარის გამოყენების მართებულობას კარიპაზიმით ელექტროფორეზული მეთოდით მკურნალობის პროცედურებში.

Summary

APPARATUS AND METHOD FOR *IN VITRO* STUDY OF IONTOPHORETIC PERMEATION OF PROTEOLYTIC ENZYMES THROUGH THE ANIMAL'S SKIN

G.Erkomaishvili, L.Vadachkoria, L.Nadirashvili, D.Chanturia

The simple apparatus and method for *in vitro* study of electrophoresis regulations of proteolytic enzymes through the membranes of animals' skin, have been developed. It has been shown that Papaya proteases are not able even penetrate into frozen chicken skin rather overcome through this barrier without the electric current. During the electromigration the certain part of papaya proteases is accumulated in the structure of the skin. On the examples of frozen chicken skin and "alive" rat skin has been shown that dimethylsulfoxide (2-3 drops by 10 ml of anodic solution) strengthens the permeability of papaya proteases up to 12-14%. The negative influence of the "parasitic" ions of physiological solution on the electrophoresis of papaya proteases has been confirmed, which brings into the question regarding of recommendation of its application within the procedures of electrophoretic treatment by Karipazim.

Резюме

ПРИБОР И МЕТОД ДЛЯ *IN VITRO* ИССЛЕДОВАНИЯ ЭЛЕКТРОФОРЕТИЧЕСКОЙ ПРОНИЦАЕМОСТИ ПРОТЕОЛИТИЧЕСКИХ ФЕРМЕНТОВ ЧЕРЕЗ КОЖУ ЖИВОТНЫХ

Г.С. Еркомаишвили, Л.В. Вадачкория, Л.А. Надирашвили, Д.Г. Чантурия

Создан простой прибор и разработан метод для изучения электрофоретической проницаемости протеолитических ферментов через мембраны кожи животных в экспериментах in vitro. Показано, что протеазы папайи без электрического тока не только не в состоянии преодолеть барьер кожи замороженных кур, но вообще не могут проникать в него. При электромиграции определённая часть протеаз папайи остаётся в структуре кожи. На примере кожи замороженных кур и „живой" кожи крысы показано, что диметилсульфоксид (2-3 капли на 10 мл анодного раствора) усиливает проницаемость протеаз папайи на 12-14%. Подтверждено отрицательное влияние на электрофорез протеаз „паразитных" ионов физиологического раствора, что ставит под сомнение рекомендацию по его использованию для приготовления растворов при процедурах электрофоретического лечения карипазимом.

კარიპაზიმის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი

გ. ერქომაიშვილი დ.ჭანტურია, ლ.ვადაჭკორია, ლ.ნადირაშვილი

სამკურნალო საშუალება კარიპაზიმი შემუშავებული იყო იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში 1987 წელს და მას მერე გამოიყენებოდა სსრკ-ში და დღემდე იხმარება დსთ-ს ქვეყნებში. კარიპაზიმი მოწოდებულია დამწვრობითი და ჩირქოვანი იარების მკურნალობისათვის, მაგრამ განსაკუთრებით ფართო გამოყენება ჰპოვა ელექტროფორეზის მეშვეობით ისეთი დაავადებების მკურნალობისათვის, როგორებიცაა თავის ქალა – ტვინის და სპინალური ტრავმები, ანთებითი და დეგენერაციული პროცესები ხერხემალში და მის შემაკავშირებელ აპარატში და ისეთი პათოლოგიებისა, რომლებიც დაკავშირებულია თავისა და ზურგის ტვინის, პერიფერიული ნერვებისა და მათი ფესვების გარსებში ნაწიბურ-შეხორცებით პროცესებთან [1].

კარიპაზიმი შეიცავს პროტეინაზების კომპლექსს, რომელიც მიიღება მცენარე პაპაიას (*Carica papaya*) უმწიფარი ნაყოფის გამშრალი რძეწვენისაგან – ე.წ. „კომერციული პაპაინისაგან". ეს ფერმენტული პრეპარატი ჯერ კიდევ XIX საუკუნეში მოხვდა მეცნიერთა ყურადღების არეში, კერძოდ – ვიურცის [2], რომელმაც უწოდა მას „პაპაინი". შემდგომში აღმოჩნდა, რომ ეს ფერმენტული პრეპარატი შეიცავს რიგ პროტეაზებს და სხვა სპეციფიურობის მქონე ფერმენტებს. სახელწოდება „პაპაინი" შერჩა ამ კომპლექსის ერთ-ერთ კარგად შესწავლილ კომპონენტს (ფ.კ. 3.4.22.2) და მიუხედავად იმისა, რომ პაპაიას გამშრალი რძეწვენი დღემდე იწოდება „კომერციულ პაპაინად", რეალურად ის წარმოადგენს ფერმენტების მეტად რთულ კომპლექსს [3], რომლის შემადგენლობის კვლევა ჯერაც არაა ბოლომდე მიყვანილი. მიუხედავად ამისა კომერციულმა პაპაინმა ფართო გამოყენება ჰპოვა კვებისა და მსუბუქ მრეწველობაში და, ასევე – მედიცინაში [4-9], რადგან ამ კომპლექსის წამყვანი კომპონენტებია მძლავრი სულფჰიდრილური პროტეინაზები, ხშირად მას უწოდებენ „პაპაიას პროტეინაზების კომპლექსს"(პპკ) [10].

კარიპაზიმის მთავარი ნორმატიული მაჩვენებელია პროტეოლიზური აქტივობა, რომელზედაც მთლიანადაა დამოკიდებული მისი ფარმაკოლოგიური ეფექტურობა. პაპაიას პროტეაზების კომპლექსის (პპკ) აქტივობის განსაზღვრის მისაღები მეთოდების შემუშავებისათვის, მისი მრეწველობაში და მედიცინაში ფართოდ გამოყენების გამო, უკვე 1965 წელს შეიქმნა სპეციალური საერთაშორისო კომისია, რომელმაც შეიმუშავა რეკომენდაციები [11-13]. რეკომენდებული იყო

მეთოდი სუბსტრატად კაზეინისა და სტანდარტული პპკ-ს პრეპარატის გამოყენებით. ამასთან, ხაზგასმული იყო კაზეინის სტარდანტიზაციის მნიშვნელობა. ამ რეკომენდაციების მიხედვით შემუშავდა პაპაინის (ანუ პპკ-ს) აქტივობის განსაზღვრის მეთოდი, შეტანილი აშშ-ს ფარმაკოპეაში (USP25-NF20 Supplement 2 papain).

სსრკ-ში პროტეაზების კომპლექსური პრეპარატების აქტივობის განსაზღვრის საკითხი შემდეგნაირად გადაწყდა: მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებული სამეცნიერო საბჭოს „ფერმენტები და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობაში და მედიცინაში" ზოგადი ენზიმოლოგიის სექციამ შეიმუშავა რეკომენდაციები, რომლებიც გამოქვეყნდა პროფ. ე.კავერზნევას სტატიაში [14]. ეს რეკომენდაციები საფუძვლად დაედო სსრკ სტანდარტს (ГОСТ 20264.2-74), რომელიც ამჟამადაც მოქმედია რუსეთის ფედერაციაში. რეკომენდებული მეთოდი ეფუძნება ცილოვანი სუბსტრატის გამოყენებას (ჰემოგლობინი – მჟავა არეებისათვის, კაზეინი – ნეიტრალური და ფუძე არეებისათვის).

კარიპაზიმის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდის შემუშავებისას ჩვენ ვხელმძღვანელობდით სახელმწიფო სტანდარტით, მაგრამ, ამასთანავე ვითვალისწინებდით პპკ-ს თვისებებს. იმავდროულად ვცდილობდით, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გვქონოდა გარკვეული პარალელიზმი აშშ-ს ფარმაკოპეის მეთოდთან. ეს მეთოდი საკმაოდ რთულია, ძნელად გამოსაყენებელია სერიული ანალიზებისას, იყენებს პპკ-ს სტანდარტულ პრეპარატს, კაზეინის ჰიდროლიზის პროცესი მიმდინარეობს 60 წუთი 40^0C-ზე.

პროტეოლიზური ერთეულების განსაზღვრება ასეთია: „პაპაინის აქტივობის ერთეული (USP Units) არის ისეთი აქტივობა, რომელიც გამოყოფს სპეციფირებული კაზეინის სუბსტრატიდან 1 მიკროგრამი თიროზინის ექვივალენტს განსაზღვრის მიღებულ პირობებში, ამასთან, გამოიყენება ენზიმის კონცენტრაცია, რომელიც გამოათავისუფლებს 40 მიკროგრამ თიროზინს 1 მლ საცდელ ხსნარში" (განსაზღვრის პირობები: 40^0C, 60 წუთი, pH 6,0 ± 0,1).

ჩვენს მიერ მიღებული პროტეოლიზური ერთეულების განსაზღვრება ასეთია: პროტეოლიზური აქტივობის ერთეულად (პე) მიიჩნევენ ფერმენტის ისეთ მოქმედებას, რომელიც 1 წუთში, 40^0C და pH 6,7 პირობებში სამქლორძმარმჟავით დაულექავ მდგომარეობაში გადაჰყავს ერთი მკმოლი თიროზინის შესაბამისი კაზეინის რაოდენობა (ჩვენი კვლევით დადგინდა pH – ოპტიმუმი 6,7).

ჩვენს მიერ შემუშავებულ მეთოდშიც კაზეინის ჰიდროლიზის პროცესში გამოყენებულია 40^{0}C იმისათვის, რომ ჩვენი მეთოდით მიღებული შედეგები თანაზომადი ყოფილიყო ამერიკული მეთოდით მიღებულ შედეგებთან. ჰპკ, როგორც სხვა მცენარეული ფერმენტები, საკმაოდ მდგრადია მომატებული ტემპერატურებისას (ჩვენი მონაცემებით მისი ტემპერატურული ოპტიმუმი აღწევს 60^{0}C – ს), რის გამო 40^{0}C-ზე, ჩვენს მიერ დადგენილ დროში - 10 წუთში პრაქტიკულად გამორიცხულია თერმოინაქტივაცია. რაც შეეხება ჰიდროლიზის პროცესის ხანგრძლივობას, ჩვენ მივიჩნიეთ, რომ 60 წუთში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს სულფჰიდრილური პროტეაზების ჟანგვით პროცესებს ჰაერის ჟანგბადით და ხანგრძლივობა შევზღუდეთ 10 წუთით.

მიუხედავად ბევრი განსხვავებისა, ჩვენსა და ამერიკულ მეთოდების პროცედურებს შორის, მაინც არის საშუალება, თუნდაც მიახლოებით შედარდეს ჩვენი და ამერიკული ერთეულები აქტივობისა, რისთვისაც ჩვენი ერთეული უნდა გადამრავლდეს 60-ზე და 181,2 ზე (დრო წუთებში და თიროზინის მოლეკულური მასა, შესაბამისად).

პროფ. ე.კავერზნევას რეკომენდაციებიდან [14] ჩვენ აუცილებლად მივიჩნიეთ თიროზინის ექვივალენტის დადგენის აუცილებლობა მოცემულ სპექტროფოტომეტრისათვის, რადგან კაზეინის ჰიდროლიზატების ოპტიკური შთანთქმის შედეგები, მიღებული განსხვავებულ სპექტროფოტომეტრებზე, საკმაოდ განსხვავებული აღმოჩნდა. მაშინ როცა არ არის საშუალება სტარდანტული პრეპარატის გამოყენებისა, თიროზინის ექვივალენტის დადგენა აუცილებელია. თავის რეკომენაციებში [14] პროფ. ე. კავერზნევა მიუთითებს, რომ კაზეინის ჰიდროლიზის პირდაპირი სპექტროფოტომეტრირებისას 280ნმ-ზე ოპტიკურ შთანთქმას განაპირობებს არა მარტო თიროზინი, არამედ, აგრეთვე, ტრიპტოფანიც და იძლევა რეკომენაციას ფოლინის რეაქტივის გამოყენებისა. სამწუხაროდ, ამ რეკომენაციის შესრულება შეუძლებელი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ცისტეინი, რომელიც გამოიყენება სულფჰიდრილური ფერმენტების აქტივირებისათვის საკმაო რაოდენობითაა ჰიდროლიზატში. ის წარმოქმნის ფოლინის რეაქტივთან ინტენსიურ შეფერილობას, რის გამო მკვეთრად იზრდება შთანთქმის ოპტიკური მაჩვენებელი [15]. ამ დაბრკოლების დასაძლევად მოწოდებული ხერხები [16-18] ძლიერ ართულებენ პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდს. ცნობილია, რომ ტრიფტოფანის ოპტიკური შთანთქმის უნარი 280 ნმ-ზე მეტია თიროზინისაზე, რაც გამოიწვევს განსაზღვრის შედეგის გარკვეულ მატებას, მაგრამ ეს ნამატი

ყოველთვის იქნება მუდმივი, რადგან ამ ორი ამინომჟავის რაოდენობების თანაფარდობა კაზეინში პრაქტიკულად მუდმივია (მოლური თანაფარდობა ტრიპტოფანსა და თიროზინს შორის ~1 : 5).

ამერიკული მეთოდის შემმუშავებლები [11] ამახვილებენ ყურადღებას კაზეინის ხარისხზე და მოითხოვენ მის სტანდარტიზაციას. ჩვენი კვლევებითაც დადგინდა კაზეინის ხარისხის გავლენა პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის შედეგებზე, რის გამო ვთვლით საჭიროდ გამოყენებული იქნეს ერთი მწარმოებელის მიერ მოწოდებული ჰამერსტენის კაზეინი (მაგალითად, Calbiochem - ისა). ამასთან, ერთი სერიის განსაზღვრისათვის უმჯობესია გამოყენებული იყოს ერთი და იმავე პარტიის კაზეინი.

ზემოთჩამოთვლილი გარემოებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით, ჩვენს მიერ ჩამოყალიბდა კარიპაზიმის (და, აგრეთვე, პპკ-ს სხვა პრეპარატების) პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი შემდეგი რედაქციით:

<u>**რაოდენობრივი განსაზღვრა: პროტეოლიზური აქტივობა**</u>. პროტეოლიზური აქტივობის ერთეულად (პე) მიიჩნევენ ფერმენტის ისეთ მოქმედებას, რომელსაც 1 წუთში, 40^{0}C და pH 6,7 პირობებში სამქლორძმარმჟავით დაულექავ მდგომარეობაში გადაჰყავს ერთი მკმოლი თიროზინის შესაბამისი კაზეინის რაოდენობა.

ორ მშრალ სინჯარაში ათავსებენ ორ-ორ მლ ცისტეინთან ინკუბირებულ პრეპარატის ხსნარს (იხ. შენიშვნა 2), სინჯარებს აჩერებენ 2-3 წთ. ულტრათერმოსტატში 40^{0}C ტემპერატურაზე, უმატებენ ორ-ორ მლ წინასწარ იმავე ტემპერატურაზე გამთბარ სუბსტრატის ხსნარს (იხ. შენიშვნა 5); ნარევს სწრაფად შეანჯღრევენ და აჩერებენ ულტრათერმოსტატში 40^{0}C ტემპერატურაზე 10 წუთი (წამზომით). შემდეგ ორივე სინჯარას უმატებენ ოთხ-ოთხ მლ 0,3 მოლ/ლ სამქლორძმარმჟავას ხსნარს (იხ. შენიშვნა 6), ნარევს ენერგიულად შეანჯღრევენ და სინჯარებს ათავსებენ ულტრათერმოსტატში 40^{0}C-ზე 20-25 წთ განმავლობაში. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შეანჯღრევენ და ფილტრავენ ქაღალდის ფილტრში მშრალ სინჯარებში. ფილტრატები გამჭვირვალე უნდა იყოს.

მიღებული ფილტრატების ოპტიკურ სიმკვრივეს განსაზღვრავენ სპექტროფოტომეტრულად 280 ნმ სიგრძის ტალღაზე 10 მმ ფენის სისქის კიუვეტში საკონტროლო ნიმუშის მიმართ. ოპტიკური სიმკვრივის მნიშვნელობა უნდა იყოს 0,2-0,5 ფარგლებში. თუ მიღებული ხსნარების ოპტიკური სიმკვრივე მითითებულ საზღვრებზე დაბალი ან მაღალია, მაშინ პრეპარატის წონაკს ხსნარის მომზადებისას შესაბამისად ზრდიან ან ამცირებენ (იხ. შენიშვნა 1).

<u>საკონტროლო ნიმუშის მომზადება</u>: მშრალ სინჯარაში შეაქვთ 2 მლ ცისტეინთან ინკუბირებული პრეპარატის ხსნარი (იხ. შენიშვნა 2), უმატებენ 4 მლ 0,3 მოლ/ლ სამქლორძმარმჟავას ხსნარს (იხ. შენიშვნა 6), ნარევს გულმოდგინედ შეანჯღრევენ და ათავსებენ ულტრათერმოსტატში 40^0C 10 წთ განმავლობაში; შემდეგ შეაქვთ 2 მლ სუბსტრატის ხსნარი (იხ. შენიშვნა 5), ენერგიულად შეანჯღრევენ და ნარევს ისევ აჩერებენ ულტრათერმოსტატში 20-25 წთ. ნარევს ისევ შეანჯღრევენ და ფილტრავენ მშრალ სინჯარაში ქაღალდის ფილტრში. ფილტრატი უნდა იყოს სრულიად გამჭვირვალე. საკონტროლო ცდის ოპტიკური სიმკვრივე წყლის მიმართ 280 ნმ სიგრძის ტალღაზე უნდა იყოს არა უმეტეს 0,3.

ერთი მგ პრეპარატის პროტეოლიზურ აქტივობას (პა) პროტეოლიზურ ერთეულებში (პე) გამოითვლიან ფორმულით:

$$\text{პა} = \frac{D \times 4 \times V \times 5}{\text{თე} \times 10 \times a}$$

სადაც D – ოპტიკური სიმკვრივეა, განსაზღვრული სპექტროფოტომეტრულად 280 ნმ სიგრძის ტალღაზე, 10 მმ სისქის კიუვეტში;
4 –სარეაქციო მასის მოცულობის შეფარდება ფერმენტის ხსნარის მოცულობასთან სამქლორძმარმჟავას დამატების შემდეგ, გ;
V – წყლის მოცულობა, რომელშიც გახსნილია პრეპარატის წონაკი (იხ. შენიშვნა 1), მლ;
5 –განზავება აქტივირებისას (იხ. შენიშვნა 2);
10 –სუბსტრატის ჰიდროლიზის დრო, წუთებში;
თე –თიროზინული ექვივალენტი, განსაზღვრული საკალიბრო გრაფიკით, მკმოლ/მლ;
a - პრეპარატის წონაკი აღებული ხსნარის მოსამზადებლად (იხ. შენიშვნა 1), მგ.

<u>თიროზინული ექვივალენტის განსაზღვრა.</u> თიროზინულ ექვივალენტს გამოითვლიან საკალიბრო გრაფიკით. ეს ექვივალენტი აუცილებელია დადგინდეს ყოველი ცალკეული სპექტროფოტომეტრისათვის. ამისათვის 0,1812 გ თიროზინს (ТУ 6-09-05-117-74, ч) ათავსებენ 1 ლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნიან 400 მლ 0,2 მოლ/ლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარში (იხ. შენიშვნა 7) და ხსნარის მოცულობა იმავე ხსნარით აჰყავთ ჭდემდე (საწყისი ხსნარი).

100 მლ მოცულობის გამზომ კოლბებში გადაიტანენ საწყისი ხსნარის 2, 4, 8, 10, 12, 15, 20 და 30 მლ და ხსნარის მოცულობას 0,2 მოლ/ლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარით აიყვანენ ჭდემდე. შესაბამისად მიიღებენ ხსნარებს , რომელთა 1 მლ შეიცავს 0,02; 0,04; 0,08; 0,10; 0,12; 0,15; 0,20 და 0,30 მკმოლ თიროზინს.

საზღვრავენ ხსნარების ოპტიკურ სიმკვრივეს სპექტროფოტომეტრულად 280 ნმ სიგრძის ტალღაზე, კიუვეტში 10 მმ ფენის სისქით. შესადარებელ ხსნარად იყენებენ 0,2 მოლ/ლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარს.

ხსნარები უნდა მომზადდეს თიროზინის სამი წონაკიდან და ზემოაღნიშნული მეთოდით სამი პარალელური ცდა ჩატარდეს, რომელთა საშუალო მონაცემებით აგებენ საკალიბრო გრაფიკს.

აბსცისა ღერძზე გადაზომავენ თიროზინის მკმოლების რაოდენობას 1 მლ ხსნარებში, ხოლო ორდინატაზე ოპტიკური სიმკვრივეების შესაბამის მნიშვნელობებს.

საკალიბრო გრაფიკის მიხედვით განსაზღვრავენ 1 მლ ხსნარში 0,1 მკმოლი თიროზინის შესაბამის ოპტიკურ სიმკვრივეს. ამ სიდიდის 10-ზე გამრავლებით გამოითვლიან 1 მლ ხსნარში 1 მკმოლი თიროზინის ოპტიკურ სიმკვრივეს (თიროზინული ექვივალენტი

<u>შენიშვნა: 1. პრეპარატის ხსნარის მომზადება.</u> 0,075 გ (ზუსტი წონაკი) პრეპარატს ათავსებენ 500 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნიან წყალში და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე წყლით. ხსნარი გამოიყენება ახალმომზადებული.

<u>2. ცისტეინთან ინკუბირებული პრეპარატის ხსნარის მომზადება</u>.

10 მლ ახალმომზადებული პრეპარატის ხსნარი (იხ. შენიშვნა 1) გადააქვთ 50 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე 0,1 მოლ/ლ ცისტეინის ხსნარით (იხ. შენიშვნა 3).

ნარევს ფრთხილად შეურევენ და აჩერებენ 10 წთ განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე (+20^{0}C). ინახება არა უმეტეს 30 წთ მაცივარში.

<u>3. 0,1 მოლ/ლ ცისტეინის ხსნარის მომზადება.</u>

1,21 გ ცისტეინს (ФС 42-1048-76) ათავსებენ 100 მლ მოცულობის კოლბაში, უმატებენ 50 მლ 1/5 მოლ/ლ ფოსფატური ბუფერის ხსნარს pH 6,7-ით (იხ. შენიშვნა 4), ამატებენ 0,372 ტრილონ Б (ГОСТ 10652-73, хч), ურევენ ამ უკანასკნელის სრულ გახსნამდე და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე იმავე ფოსფატური ბუფერით. მიღებული ხსნარის pH უნდა იყოს 6,7 (პოტენციომეტრულად). ხსნარი გამოიყენება ახალმომზადებული.

<u>4. 1/15მოლ/ლ ფოსფატური ბუფერის ხსნარის (pH 6,7) მომზადება.</u>

9,07გ უწყლო ერთჩანაცვლებული ფოსფორმჟავა კალიუმს (ГОСТ 4198-75, ч.д.а.) ათავსებენ 1 ლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნიან 200 მლ წყალში და

ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე წყლით (ხსნარი ა). 9,5 გ უწყლო ორჩანაცვლებული ფოსფორმჟავა ნატრიუმს (ГОСТ 11773-76, ч.д.а.) ათავსებენ 1 ლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნიან 200 მლ წყალში, აცხელებენ სრულ გახსნამდე და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე წყლით (ხსნარი ბ).

400 მლ ხსნარ ა-ს ურევენ 600 მლ ხსნარ ბ-ს. მიღებული 1/15 მოლ/ლ ფოსფატური ბუფერის ხსნარის pH უნდა იყოს 6,7 (პოტენციომეტრულად). თუ pH 6,7-ზე მეტია უმატებენ ხსნარ ა-ს, ხოლო თუ 6,7–ზე ნაკლებია – ხსნარ ბ-ს. ხსნარის ვარგისობის ვადაა არა უმეტეს 5 დღე-ღამე (მაცივარში შენახვისას).

5. სუბსტრატის ხსნარის მომზადება.

2 გ ჰამერსტენის კაზეინს (ТУ 6-09-3574-82) ათავსებენ კონუსურ კოლბაში მოცულობით 250 მლ, უმატებენ 100 მლ 1/15 მოლ/ლ ფოსფატური ბუფერის ხსნარს (pH 6,7, იხ. შენიშვნა 4) და აცხელებენ მდუღარე წყლის აბაზანაზე კაზეინის სრულ გახსნამდე. კოლბას აცივებენ გამდინარე წყლით ოთახის ტემპერატურამდე, pH მიჰყავთ 6,7-მდე (თუ აუცილებელია) 2 მოლ/ლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით (იხ. შენიშვნა 8). სუბსტრატის ხსნარის ვარგისობის ვადაა მაცივარში შენახვისას არა უმეტეს 6 სთ.

6. 0,3 მოლ/ლ სამქლორძმარმჟავას ხსნარის მომზადება.

50 გ სამქლორძმარმჟავას (ТУ 6-09-1926-77, ч.) გადაიტანენ 1 ლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნიან 200 მლ წყალში და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე წყლით.

7. 0,2 მოლ/ლ ქლორწყალბადმჟავას ხსნარის მომზადება.

17 მლ კონცენტრირებულ ქლორწყალბადმჟავას (სიმკვრივე 1,19 გ/სმ^3) ანზავებენ წყლით 1 ლ-მდე.

8. 2 მოლ/ლ ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარის მომზადება.

8,0 გ ნატრიუმის ჰიდროქსიდი გადააქვთ 100 მლ მოცულობის გამზომ კოლბაში, ხსნიან 50 მლ წყალში და ხსნარის მოცულობა აჰყავთ ჭდემდე წყლით. ინახება რეზინის საცობებით თავდახურულ ქილებში.

მეთოდის მეტროლოგიური დახასიათება [19]

f	X	S^2	S	P	t(P,f)	Δx	Σ(%)
g	3,61	0,003788	0,06155	95%	2,26	0,139	3,85

ლიტერატურა

1. **В.Л. Найдин, Ю.Г. Бобков, П.Е. Юрищев** რუსეთის პატენტი **RU 2141 359, 1999.**
2. **A.Wurtz, R. Bouchut Compt. Rend. Acad. Sc. (Paris), 89, p 425-427, 1879.**

3. M.Azarkan, A.El.Moussaoui, D. Wuytswinkel, G.Dehou, Y. Looze Journal of Chromatography B, 790,p229-238, 2003.
4. G. Reed. Enzymes in food processing. Acad. Press, 1966.N.-Y.-London.
5. K. Gizuka, T.Ashima J. Food Agric. 80, p413-1422, 2000.
6. F.X. Jin, K. Toda Biotechnol. Lett. 10, p221-228,1988.
7. J.W.Simmons, E.J. Nordby, A.G. Hadjipavlou. Eur. Spine J. 10, p192-199, 2001.
8. J.Leipner, R.Saller, Drugs, 59, p769-778, 2000.
9. „Применение протеолитических энзимов растения *Carica papaya* в широкой медицинской практике., Симпозиум, Москва, 18-19 июня 1978г".
10. A.V.Maximenko, L.A.Nadirashvili, A.D.Romaschenko, G.S.Erkomaishvili, V.V.Abramova, V.P. Torchilin Journal of Controlled Release, 10, 131-143, 1989.
11. Internacional Comission for the standardization of pharmaceutical enzemes. First report. J. Mondial Pharm. 1, 5-32 (1965).
12. E.A. Lazo-Wassem. J.Pharmac. Sci 55 (7) p723-725, 1966.
13. Th. Cayle Journal of the Association of Official Analytical Chemists (Journal of the AOAC) 54(4) p978-980 1971.
14. Е.Д. Каверзнева Прикл. биохим. и микробиол. 7(2) с225-228, 1971.
15. C.G., Vallego, R. Lagunas Anal. Biochem.36 (1), p207-212 , 1970.
16. H.P.S. Makkar, O.B. Sharma, S.S. Negi Anal. Biochem. 104(1), p124-126, 1980.
17. J. Hughes, S.Joshi, D. Ascoli Anal. Biochem. 117 (1), p1-5, 1981.
18. L.N. Singh, J. Inian Exp.Biol. 18(11), p1307-1308, 1980.
19. Госуд. Фармакопея СССР, XI, вып.1, с.199.

რეზიუმე

კარიპაზიმის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი

გ. ერქომაიშვილი დ.ჭანტურია, ლ.ვადაჭკორია, ლ.ნადირაშვილი

შემუშავებულია პაპაიას პროტეინაზების კომპლექსის შემცველი სამკურნალო პრეპარატ) კარიპაზიმის პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი, ამასთან, გათვალისწინებული იყო სსრკ და შემდგომ – რუსეთის სტანდარტის (ГОСТ 20264.2-88, ფერმენტული პრეპარატები. პროტეოლიზური აქტივობის განსაზღვრის მეთოდი) და ნაწილობრივ – აშშ-ს ფარმაკოპეის (USP 25 – NF20 Suplement 2 papain) მოთხოვნები.

Summary

METHOD OF DETERMINATION OF THE PROTEOLITIC ACTIVITY OF KARIPAZIM

G.Erkomaishvili, D.Chanturia, L.Vadachkoria, L.Nadirashvili

The method of determination of the proteolytic activity of Karipazim, the medicine which contains the complex of papaya proteases, has been developed taking into account requirements of USSR and Russian standards (USSR STATE STANDARD. 2026.2-88, enzyme preparations. Method of determination of the proteolytic activity) and partially - the US Pharmacopoeia (USP25-NF20 supplement 2 Papain).

Резюме

МЕТОД ОПРЕДЕЛЕНИЯ ПРОТЕОЛИТИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ КАРИПАЗИМА

Г.Еркомаишвили, Д.Чантурия, Л.Вадачкория, Л.Надирашвили

Разработан метод определения протеолитической активности карипазима, лекарственного средства, содержащего комплекс протеиназ папайи, учитывая требования стандарта СССР и России (ГОСТ 2026.2-88, препараты ферментные. Метод определения протеолитической активности) и частично – Фармакопеи США (USP25-NF20 supplement 2 papain).

თიხა-ასკანეს შემცველი ახალი სუპოზიტორიული ფუძე

მ. ორჯონიკიძე, ი.დადეშიძე, მ.ჯორბენაძე, გ. ცაგარეიშვილი

სუპოზიტორიების თერაპიულ ეფექტურობას მნიშვნელოვნად განაპირობებს სუპოზიტორული ფუძის ბუნება და ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები.

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა სტანდარტული ლიპოფილური ფუძის – კაკაოს ცხიმისა და Ticha-ascanae-ს (თიხა-ასკანეს) ურთიერთშეთავსებადობის შესწავლა, სუპოზიტორიებისათვის ახალი ფუძის რეცეპტურისა და მიღების ტექნოლოგიის დამუშავება.

კაკაოს ცხიმი, როგორც ოფიცინალური ლიპოფილური ფუძე, რიგი ქვეყნების ფარმაკოპეაშია შეტანილი. ქიმიური თვალსაზრისით კაკაოს ცხიმი წარმოადგენს ტრიგლიცერიდების ნარევს, კერძოდ შეიცავს ტრისტეარინის, ტრიპალმიტინის, ტრიოლეინის, ტრილაურინის და ტრიარაქიდინის ცხიმებს, რაც განაპირობებს ამ ფუძის სხვადასხვა ფიზიკური თვისებების პოლიმორფულ მოდიფიკაციებს. წარმოებაში იგი სუფთა სახით ნაკლებად გამოიყენება, რადგან მოცემული ფუძის ლღობისას 36°C მაღალ ტემპერატურაზე ის გადადის დაბალი ლღობის (23 – 24°C) და დაბალი გამყარების (17 – 18°C) ტემპერატურის მქონე მოდიფიკაციაში, რაც სირთულეებს იწვევს სუპოზიტორიების ფორმირებისას [1]. ასევე კაკაოს ცხიმი ცუდად აემულგირებს წყლიან ხსნარებს. სტრუქტურულ-მექანიკური და რეზორბციული თვისებების გაუმჯობესების მიზნით კაკაოს ცხიმის ფუძეში შეგვყავდა ბენტონიტური თიხის პრეპარატი – თიხა-ასკანე.

კირქვიანი და ღორღიანი ფერდობების, გაშიშვლებული მთის ქანებზე განვითარებული კომპლექსები.

ადგილობრივი ფაქტორების გავლენით (გრუნტის წყლების სიუხვე, ნესტიანი კლდეები, დაჩრდილული და ღია ფერდობები) იცვლება ეკოლოგიური გარემო. გარდა ამისა, კირქვიანების კომპლექსის ჩამოყალიბებაში მნიშვნელობა აქვს მთის ქანების ფიზიკურ და ქიმიურ შემადგენლობას [1,3,30].

ამ უკანასკნელის მიხედვით ამიერკავკასიის კირქვიანების ფლორაში შეიძლება განვასხვავოთ:

ობლიგატური კალცეფიტები – კ ა ლ კ ა რ ე ო ფ ი ტ ე ბ ი ი.კოჟევნიკოვის მიხედვით;

ფაკულტატური კალცეფიტები;

ინდიფერენტული - კალციუმის შემცველობის მიმართ;

კალცეფობური სახეობები.

კალკარეოფიტები ნამდვილი კალცეფილური მცენარეებია, რომელთაც კალციუმის კარბონატის გარეშე არ შეუძლიათ არსებობა.

ა.კოლაკოვსკი [30] თვლის, რომ სწორედ ეკოლოგიური მრავალფეროვნება განაპირობებს კირქვიანების ფლორისტულ სიმდიდრეს; ეს იმით აიხსნება, რომ ისტორიულად კლიმატური პირობების ცვლილებისას სახეობების კონსერვაცია

უფრო მეტად კირქვიან ეკოტოპებზე უნდა ხდებოდეს. ამასთანავე ყალიბდება ურთიერთმონაცვლე ანუ ვიკარული სახეობები. სახელდობრ, *Aquilegia colchica* Kem.-Nath. იმერეთის კირქვიანების ენდემია. მისი ვიკარიანტია *A.gegica* Jabr.-Kolak. *Gentiana bzybica* (Doluch.) Kolak. მდ. ბზიფის ხეობის ენდემია; მისი ვიკარიანტი *G. kolakowskyi* Doluch. – ასხისა და ოხაჭკუეს ენდემი; *Allium circassicum* Kolak. – ფიშტის კირქვიანი მასივის ენდემია; მისი ვიკარიანტია გაგრის კირქვიანი ქედის ენდემი *A.candolleanum* Albov.

ენდემური სახეობების სიმრავლე აღინიშნება განსაკუთრებით ლითოფილურ ეკოტოპებზე [1,2,3,4,30]. ესენია კლდე-ტყეების, ალპური კლდეებისა და ღორღიანების ეკოტოპები. გარდა ამისა, ისინი გვხვდებიან მდელოს, მაღალბალახეულობისა და ტყის ფლოროცენოტურ კომპლექსებში.

კალცეფილურ კომპლექსში მონაწილეობს კავკასიის ოთხი მონო- და ოლიგო-ტიპური ენდემური გვარი [72] (სურ. 2-5).



სურ. 2. დასავლეთ კავკასიის კირქვიანების მონოტიპური ენდემური გვარის *Woronowia* [*W. speciosa* (Albov) Juz.]-ს არეალკარტოგრამა [2n=70]





სურ. 3.-1,2 კავკასიის ოლიგოტიპური ენდემური გვარის *Kemulariella*-ს არეალკარტოგრამა: 2 – *K. colchica* (Albov) Tamamsch. [2n=12], 3 – *K. caucasica* (Willd.) Tamamsch. [2n=18], 4 – *K. abchasica* (Kem.-Nath.) Tamamsch., 1 – *K. tugana* (Albov) Tamamsch., 5 – *K.rosea* (Stev. ex Bieb) Tamamsch.



სურ. 4. დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ოლიგოტიპური გვარის *Chymsydia*-ს არეალკარტოგრამა: 1 – *Ch. agasylloides* (Albov)
Albov, 2 – *Ch. colchica* (Albov) Woronow



სურ. 5. დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების მონოტიპური გვარის *Amphoricarpos* (= *Alboviodoxa*) [*A. elegans* Albov]-ის არეალკარტოგრამა [2n=22]

მრავალი კალკარეოფიტი ვერტიკალური გავრცელებით, ალბოვის გამოთქმით, კოსმოპოლიტია. ასეთია, მაგალითად, *Campanula mirabilis* Albov (2n=102; x=17), *Satureja bzybica* Woronow, *Scabiosa olgae* Albov (2n=18). მათ შორის გაირჩევა ვერტიკალური ვიკარიანტები *Gentiana paradoxa* Albov-ს ალპურ სარტყელში ცვლის *G.rhodocalyx* Kolak. და *G.vittae* Kolak.

ხაზმოფიტების ჯგუფს ეკუთვნის მაგალითად *Omphalodes lojkae* Somm. & Levier (2n=20), *Campanula dzaaku* Albov, *C.fonderwisii* Albov. ამ ჯგუფიდან ცენოფილური როლი ენიჭება *Amphoricarpos elegans* Albov (2n=22), *Kemulariella tugana* (Albov) Tamamsch.-ს და სხვ. ალპური სარტყელისთვისაა დამახასიათებელი ბზიფის ქედზე *Ziziphora woronowii* Maleev; სუბალპებისათვის *Daphne pseudosericea* Pobed. (2n=18) და სხვ.

მოძრავი კირქვიანი ღორღების სახეობებია *Heracleum calcareum* Albov (2n=22), *Chaerophyllum borodinii* Albov და სხვ. [ჩრდილო-ევქსინის პროვინციის კირქვიანების ენდემების ანალიზი იხ. ხარაძისა და გაგნიძის [56] შრომაში].

III

კირქვიანების კომპლექსის ქრომოსომთა რიცხვი

Taxon	2n	Specimina examinata
Alliaceae		
A l l i u m		
***A. albovianum* Vved.**	16	N 655. Samegrelo, m. Dzhvari, 2 VI 1975. Tschcheidze (TBI).
***A. ursinum* L.**	14	N 384. Imerethi, jugum Nakherala, m. Zchra-Dzhvari, 1400 m s.m., 10 VI 1974, Gagnidze, Tschcheidze (TBI).
Amaryllidaceae		
G a l a n t h u s		
G. schaoricus Kem.-Nath.	24	N 797. Imerethi, m. Zchra-Dzhvari, 4 V 1974, Gagnidze, Tschcheidze (TBI).
G. krasnovii A.Khokhr. (= *G.valentinae* Panjut. ex Grossh.)	24	N 847 a. Abchasethi, in faucibus fl. Jupschara, 6 V 1977, Gagnidze, Tschelidze (TBI).
Aristolochiaceae		
A r i s t o l o c h i a		

*) *A. pontica* Lam.	12	N 585; 636. Abchasethi, Achali-Athoni, 4 VII 1974, Gagnidze, Tschcheidze (TBI).
Asarum		
A.intermedium (C.A. Mey.) Grossh. (= *A.ibericum* Stev. ex Ledeb.)	26	N 800. Svanethi, in faucibus Thcheischi, 1000 m s.m., 3 VII 1976, Gagnidze, Mukbaniani, Tschelidze (TBI).
Asphodelaceae		
Asphodeline		
A. lutea (L.) Reichenb.	28	N 777, 795. Ratscha, Ambrolauri, Kldekari, 2 V 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
Berberidaceae		
Epimedium		
E. colchicum (Boiss.) Trautv.	12	N 846. Samegrelo, m.Ochatschkue, 700 m s.m. 11 IX 1976, Gagnidze (TBI).
Boraginaceae		
Omphalodes		
O. lojkae Somm. et Levier	20	N 843. Samegrelo, Chudoni, m. Zulischi, 800 m s.m., 1 IX 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
O. kusnetzovii Kolak.	20	N 926. Abchasethi, in faucibus fl. Jupschara, 21 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Buxaceae		
Buxus		
B. colchica Pojark.	28	N 601. Ratscha, jugum Nakherala, 1 V 1975, Gagnidze, Tschcheidze (TBI). N 784. Samegrelo, in faucibus fl. Olor, 5 V 1976, Gagnidze (TBI).
Caryophyllaceae		
Cerastium		
*) *C. ponticum* Albov	36	N 937. Letschchumi, m. Dzhvari, 8 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).

*) ქრომოსომთა რიცხვი პირველადაა დათვლილი; TBI – საჰერბარიუმო ნიმუშები დაცულია თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტის საერთაშორისო ჰერბარიუმში და TB – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ჰერბარიუმში

Compositae		
A m p h o r i c a r p o s		
*) *A. elegans* Albov (=*Alboviodoxa elegans* (Albov) Woronow)	22	N 786. Samegrelo, inter pagus Dzhvari et Chudoni, 5 V 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
C e n t a u r e a		
C. bagadensis Woronow	30	N 729. Letschchumi, Gvirischi, 2 V 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
K e m u l a r i e l l a		
*) *K. colchica* (Albov) Tamamsch.	12	N 840. Svanethi, in saxis calcareis m. Larakvakva, 680 m s.m. 4 VII 1976, Gagnidze, Gviniaschvili, Mukbaniani (TBI).
Cruciferae		
A l y s s o i d e s		
A. graeca (Reut.) Jav.	8	N 865. Svanethi, Dizi, 27 VII 1976, Gagnidze (TBI).
Dipsacaceae		
C e p h a l a r i a		
C. calcarea Albov	18	N 840. Samegrelo, Chudoni, m. Zulischi, 800 m s.m. 1 IX 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
S c a b i o s a		
S. colchica Stev.	18	N 944. Letschchumi, in faucibus fl. Djonoula, 750 m s.m. 14 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze (TBI).
Euphorbiaceae		
L e p t o p u s		
*) *L. colchicus* (Fisch. & C.A. Mey.ex Boiss.) Pojark.	12	N 805; 807. Svanethi, m. Larakvakva, 680 m s.m. 4 VII 1976, Gagnidze, Gviniaschvili, Mukbaniani (TBI). N 945. Letschchumi, in faucibus fl. Djonoula, 750 m s.m. 14 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Gentianaceae		
G e n t i a n a		
*) *G.oschtenica* (Kusn.) Woronow	26	N 916. Abchasethi, Arabika, 2300 m s.m. 20 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).

Hyacinthaceae Muscari *M. alpanicum* Schchian	36	N 796, 798. Letschchumi, Alpana. 2 V 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
Labiatae Betonica *) *B. abchasica* (Bornm.) Chinth.	16	N 912. Abchasethi, m. Shabaschcha, 1900 m s.m. 18 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Scutellaria *) *S. helenae* Albov	22	N 943. Letschchumi, m. Dzhvari, 8 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Liliaceae Lilium *L. szovitsianum* Fisch. & Ave-Lall.	24	N 611. Imerethi, Mozametha, 4 V 1974, Gagnidze, Tschcheidze (TBI).
Paeoniaceae Paeonia *P. wittmanniana* Hartwiss ex. Lindl.	20	N 914. Abchasethi, m. Bambejaschta, 1900 m s.m. 18 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Primulaceae Cyclamen *C. colchicum* (Albov) Albov [=*C. ponticum* (Albov) Pobed.]	28	N 689. Samegrelo, m. Dzhvari, 6 V 1975, Tschcheidze (TBI). N 857. Samegrelo, Chudoni, m. Zulischi, 1000 m s.m. 22 VIII 1977, Gagnidze, Tschelidze (TBI) N 845. Samegrelo, m. Khvira, 1800-1900 m s.m. 5 IX 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI) N 935. Letschchumi, m. Dzhvari, 1900 m s.m., 8 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Ranunculaceae Ranunculus		

R. acutilobus Ledeb.	16	N 638. Ratscha, Tschelischis Udabno, 1 V 1975, Tschcheidze (TBI).
R.cappadocicus Willd.	16	N 37, 40. Samegrelo, Aschi, 2200 m s.m. 14 VIII 1974, Tschuradze (TB). N 122. Abchasethi, Mamdzhischcha, 2200 m s.m. 20 VI 1980, Tschuradze (TB).
*) *R. grossheimii* Kolak.	16	N 927, 928. Abchasethi, in faucibus fl. Jupschara, 21 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI). N 858. Samegrelo, Chudoni, m. Zulischi, 1000 m s.m. 22 VIII 1977, Gagnidze, Tschelidze (TBI)
*) *R. helenae* Albov	16	N 185, 187. Abchasethi, in clavis rupestribus calcareis jugi Gagra. 2200 m s.m. 20 IX 1983, Tschuradze (TB, TBI).
R.raddeanus Regel	16	N 915. Abchasethi, m. Bambejaschta, 1900 m s.m. 18 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Ruscaceae		
R u s c u s		
R.colchicus P.F.Yeo	40	N 727. Samegrelo, m.Ochatschkue, 1600 m s.m. 4 V 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI). N 934. Letschchumi, in faucibus fl. Djonoula, 1600 m s.m., 8 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
Scrophulariaceae		
V e r o n i c a		
***V. imerethica* Kem.-Nath.**	16	N 613, 624. Imerethi, Gelathi, 4 V 1975, Gagnidze, Tschelidze (TBI).
Thymelaceae		
D a p h n e		
*) *D. pseudosericea* Pobed.	18	N 844. Samegrelo, Chudoni, m. Zulischi, 1000 m s.m. 1 IX 1976, Gagnidze, Tschelidze (TBI).
Umbelliferae		
A s t r a n t i a		
*) *A. colchica* Albov	14	N 938. Letschchumi, m. Dzhvari, 8 VIII 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).
H e r a c l e u m		
*) *H. calcareum* Albov	22	N 921. Abchasethi, m. Arabika, 2300m s.m.

20 VI 1980, Gagnidze, Tschelidze, Schethekauri (TBI).

IV

დასავლეთ ამიერკავკასიის კალცეფილური ფლორისტული კომპლექსის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიის საკითხები ბოტანიკურ-გეოგრაფიული და კარიოლოგიური მონაცემებით

ქვემოთ მოტანილი კ ა რ ი ო ქ ო რ ო ლ ო გ ი უ რ ი მაგალითებით შესაძლებელია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ფლორის ისტორიის დადგენა სივრცესა და დროში.

გვარი *Leptopus* აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიური სუბტროპიკული და ტროპიკული გვარია. *L. colchicus* ვიკარიანტია ჩინეთისა (*L. chinesis*) და ჰიმალაის (*L. cordifolius* Decne) სახეობებისა, დიპლოიდია (2n=12) და ამგვარად იგი პალეენდემების რიცხვს ეკუთვნის. *L.colchicus*-ის არეალი მოიცავს დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიან მასივებს – აფხაზეთის, რაჭა-ლეჩხუმის, სამეგრელოსა და იმერეთის კირქვიანების ენდემია; დაკავშირებულია ძირითადად კირქვების ღორღიანებისა და ნაშალების ეკოტოპებთან. სვანეთისათვის პირველად 1910 წელს სოფ. ჩუბეხევის მიდამოებიდან კირქვიან ფერდობზე დ.სოსნოვსკიმ შეაგროვა. 1976 წელს ექსპედიციის მიერ (*L. colchicus*) შეგროვებულია მდ. ენგურის ხეობის ქვედა წელში ხაიშის ქვემოთ, კირქვიან ეკოტოპებზე, კალცეფილურ ფლორისტულ კომპლექსებში.

Alyssoides graeca (Reut.) Jav. კავკასიის ფლორისტულ ლიტერატურაში ეს მცენარე ცნობილია *Vesicaria graeca* Reuter-ს სახელწოდებით. გვარები *Alyssoides* Mill. და *Vesicaria* Adans. სინონიმებია, რომელთაგან პირველი პრიორიტეტულია. *Alyssoides* ოლიგოტიპური გვარია. სახეობების მოცულობაზე ერთმანეთისაგან განსხვავებული შეხედულება არსებობს; წარმოშობით ხმელთაშუაზღვეთურია, რომელიც ირადირებულია ევროპაში. მისი არეალი მოიცავს აპენინებს, ბალკანეთის ნახევარკუნძულს, სამხრეთ და შუა ევროპას, დასავლეთ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ანატოლიის ჰემიქსეროფილური რაიონების კირქვიან, თიხაფიქლებიან ეკოტოპებს. კავკასიაში გავრცელებული სახეობა *A. graeca* მხოლოდ კავკასიონის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილიდან იყო ცნობილი. გვარი *Alyssoides* ახალია

საქართველოს ფლორისათვის. იგი შეგროვებულია ზემო სვანეთში მდ. ენგურის მარჯვენა სანაპიროზე თიხიან-ფიქლებიან კლდეებზე და ნაშალებზე. კავკასიაში *A.graeca*-ს ვერტიკალური გავრცელების ზღვარი 850-იდან (დიზთან)-1650 მ (ტებერდის) 2200 მ-მდეა (ზელენჩუკის აუზი) და ამდენად იგი წარმოდგენილია სპორადულად მუქწიწვიანი ტყის და სუბალპური მთის ხაზმოფიტების, პეტროფიტებისა და სუბალპური სარტყლის კომპონენტებთან ერთად ღია, მშრალ ეკოტოპებზე, რომელსაც ერევა არყი, მაღალმთის ნეკერჩხალი, ღვიები და მშრალი ეკოტოპების სხვა ბუჩქები.

დადგენილია, რომ ფლორისტული კავშირები კავკასიასა და ხმელთაშუაზღვეთს შორის პლიოცენამდე არსებობდა. აღნიშნულ ფლორებს შორის კავშირი უნდა დამყარებულიყო ზღვისპირა კლდოვანი სანაპიროებით, სადაც ყალიბდებოდა ხმელთაშუაზღვეთის ტიპის ჰემიქსეროფილური ფლორისტიკული კომპლექსები [49,51,52,53,56]. *A. graeca*-ს ირადიაცია კავკასიის ფლორის შემადგენლობაში ხმელთაშუაზღვეთიდან ანატოლიის გავლით უნდა მომხდარიყო. კავკასიაში გავრცელებულია დიპლოიდური ქრომოსომული რასა (2n=8), მაშინ როცა არეალის დანარჩენ ნაწილში უნდა ჭარბობდეს ტეტრაპლოიდური ქრომოსომული რასა (2n=16). ეს თავის მხრივ უნდა მიგვანიშნებდეს უძველეს დიფერენციაციაზე.

გვარი *Cephalaria* უძველესი ხმელთაშუაზღვეთური გვარია. მისი ჩამოყალიბებისა და სახეობრივი მრავალფეროვნების ცენტრია წინა აზია და ბალკანები. გვარი აერთიანებს 60-მდე სახეობას. კავკასიაში 20 სახეობაა გავრცელებული. კავკასიონზე ა.შხიანი [64] გამოყოფს ენდემური სახეობების ჩამოყალიბების ორ ცენტრს: დაღესტნურსა და დასავლეთ ცენტრალური კავკასიონის. გვარის სახეობები მთის ქსეროფილური და მდელო-სტეპების ფლოროცენოტური კომპლექსების კომპონენტებია. შედარებით მცირერიცხოვანია პეტროფიტები და გლარეოფიტები. კალკარეოფიტია *C. calcarea*, იგი ეკუთვნის სექციას – *Cephalaria*. ამ სექციის სახეობები ჩამოყალიბდნენ კავკასიისა და წინა აზიის სემიარიდულ და ჰუმიდურ ფიტოქორიონებში. ჰუმიდურ ცენტრებში ყალიბდება ძირითადად ტეტრაპლოიდური სახეობები – მაღალბალახეულობისა და მდელოების [*C.gigantea* (Ledeb.) Bobr., *C.brevipalea* (Somm. & Levier) Litv., *C. balkharica* E.Busch – 2n=36]; არიდულში და სემიარიდულში დიპლოიდური [*C. daghestanica* Bobr. – 2n=18 [34], *C. calcarea* – 2n=18]. ჰუმიდური ცენტრის სახეობებიდან აღსანიშნავია *C. gigantea*; *C. coriacea* (Willd.) Steud (2n=18) დიპლოიდია [34], ყირიმ-კავკასიის სახეობაა

(ნოვოროსია–დასავლეთი და ცენტრალური იმიერკავკასია) ეკუთვნის სექცია *Leucocephalae*-ს. ამ სექციის სახეობები ქმნიან ჰემიქსეროფილურ ეკოლოგიურ ხაზს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ხმელთაშუაზღვეთის, წინა აზიის, სუბხმელთაშუაზღვეთისა და ნაწილობრივ კავკასიის არიდულ ცენტრებში.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს გვარ *Scabiosa*-ს ენდემური კალცეფილური ჯგუფი – *S. olgae, S. colchica*, რომელთაც ქრომოსომთა დიპლოიდური წყება აქვთ (2n=18). ეს ჯგუფი ქმნის ავტოქტონურ ბირთვს. გვარში ორი ხაზი შეინიშნება: დიპლოიდური (2n=16, 18) და ტეტრაპლოიდური (2n=36). ძირითადი რიცხვის დიფერენცირება მოხდა სექციების მიხედვით [76]. სექცია *Asterocephalus*-ის განვითარება ძირითადად დიპლოიდური ხაზით წავიდა (*S. gumbetica* Boiss. 2n=18). ტეტრაპლოიდია კავკასიონის *S. caucasica* M.Bieb. (2n=36). სექცია *Scabiosa* აგრეთვე დიპლოიდურია, მაგრამ მისი სახეობების ქრომოსომთა წყება 2n=16. ასეთია, მაგალითად: *S.ochroleuca* L., *S. georgica* Sulak., *S. bipinnata* K.Koch, *S. owerinii* Boiss., *S. alexeenkoana* Sulak. [34]. ამრიგად, გვარის განვითარების კავკასია-ხმელთაშუაზღვეთური ხაზი ძირითადად დიპლოიდურია, მაგრამ ქრომოსომთა რიცხვის სხვადასხვა წყებით:



გვარი *Epimedium* 23 სახეობამდე აერთიანებს. ისინი გავრცელებულია ძირითადად აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. კავკასიაში 4 სახეობა გვხვდება. მათ შორის *E. pinnatum* Fisch. ჰირკანული ტყეებისთვისაა დამახასიათებელი, *E. pubigerum* (DC.) Morr. & Decne – აჭარა-მცირეაზიის სახეობაა. ამიერკავკასიის კირქვიანი ეკოტოპებისთვისაა დამახასიათებელი *E. colchicum* და *E. circinnatocucullatum* Sosn. ვ. კოსენკოს (1979), კურიტას (Kurita, 1956) და სხვ. გამოკვლევებით გვარი დიპლოიოდური სახეობითაა წარმოდგენილი (2n=12). ჩვენ მიერ გამოკვლეული *E. colchicum* აგრეთვე დიპლოიდური წყებით ხასიათდება (2n=12), რაც მის უძველეს წარმოშობაზე მიუთითებს. კარიოლოგიურად აღნიშნულ გვართან ახლონათესაურ კავშირშია გვარი *Bongardia* (x=6), რომელიც აღმოსავლეთ

ამიერკავკასიაში, მცირე აზიასა და შუა აზიაშია გავრცელებული. ამ გვარების ისტორია მიმდინარეობდა უძველეს ხმელთაშუაზღვეთის რეგიონში. კავკასიის სახეობებმა საწყისი უძველესი ხმელთაშუაზღვეთის სახეობებისაგან მიიღეს. სახეობა *E. colchicum* საქართველოში აღნიშნულია აფხაზეთის, სამეგრელოს, იმერეთის კირქვიანებისათვის მუხნარ-რცხილნარი ტყის კომპლექსებში. სვანეთში პირველად ჩვენ მიერ არის შეგროვებული კვაკვასა და ხაიშის მიდამოებში. *E. colchicum* ახლონათესაურ კავშირშია თალიში-ატროპატენის სახეობა . პინნატუმ-თან. ორივე სახეობა განცალკევებით დგას გვარის სისტემაში.

გვარი *Kemulariella* კავკასია-მცირე აზიის ენდემური გვარია. ძირითადად გა-ვრცელებულია დასავლეთ კავკასიონზე და ამიერკავკასიის დასავლეთ ნაწილში – სუბალპურ და ალპურ სარტყელებში. ასეთია, მაგალითად, სახეობა *K. caucasica* (Willd.) Tamamsch. (2n=18), რომელიც ტრიპლოიდია [19]. კალცეფილურებია დასავლეთ კავკასიონის ენდემები: *K. colchica* (2n=12) – დიპლოიდური, *K. tugana* (Albov) Tamamsch.; *K. abchasica* (Kem.-Nath.) Tamamsch.; *K. rosea* (Stev.) Tamamsch.). აღმოსავლეთ კავკასიონის იშვიათი ენდემია (დაღესტანი, ნუხა, შემახა; იგი ნაპოვნია თუშეთში არაბულის მიერ). ლ.კემულარია-ნათაძე [28] *K. rosea* და *K.abchasica*-ს ახლონათესაურ სახეობებად თვლის. მათი დიფერენცირება მოხდა კავკასიონის სხვადასხვა ნაწილში. ამასთანავე პირველს აქვს თესლურაზე ერთრიგოვანი ქოჩორი და ახლონათესაურ კავშირშია აღმოსავლეთ აზიის გვარის *Calimeris* DC.-ის სახეობებთან. კარიოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ გვარს აქვს ორი ძირითადი რიცხვი (x=6, 8). ტრიპლოიდური სახეობა დიპლოიდურის მსგავსად უძველესი პოლიპლოიდია, რელიქტური კალცეფიტია. სხვა კალცეფილურ სახეობებთან ერთად გაერთიანებულია სექციაში *Thamnoaster*, რომლის წარმომად-გენლები მორფოლოგიური ნიშნებით იზოლირებულია სისტემაში. *K. colchica*-ს გავრცელება ცნობილი იყო მხოლოდ სამეგრელოში და რაჭა-ლეჩხუმში. სვანეთისათვის პირველად ჩვენ მიერ არის აღნიშნული.

კალცეფილური სახეობების კარიოლოგიურმა შესწავლამ გვიჩვენა, რომ *Galanthus*-ის სახეობათა ქრომოსომთა რიცხვი მყარია (2n=24).

Galanthus-ის კარიოტიპი ხასიათდება ერთი ძირითადი რიცხვით [5] გვარის სახეობებიც (ასევე კალცეფილური) ქრომოსომთა მორფოლოგიით და რიცხვით ერთმანეთს ემსგავსება. სახეობრივი განსხვავება გამოიხატება დამატებითი ქრომო-სომების თანამგზავრებისა და მეორადი საწელურების არსებობით. მორფოლოგი-ურად კალცეფილური სახეობები ახლონათესაურ კავშირშია კოლხეთისა და

ხმელთაშუაზღვეთის ჩრდილოეთ მთიანი ნაწილის სახეობებთან, რომლებიც აგრეთვე დიპლოIდურებია. აჭარა-პონტური *G. krasnovii* A.Khokhr. სისტემაში იზოლირებულია; *G.schaoricus* ნათესაურად ახლოა *G. alpinus*-თან. ეს უკანასკნელი გავრცელებულია თრიალეთზე (ბორჯომის რაიონი) და აჭარა-იმერეთის ქედზე. ეს სახეობები თავის მხრივ ახლონათესაურ კავშირშია ხნელთაშუაზღვეთურ-ალპურ *G. nivalis* L.-თან.

კალცეფილურ კომპლექსში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კ ა ვ კ ა ს ი ო- ნ ი ს ს ქ ი ზ ო ე ნ დ ე მ ე ბ ი ს (ფავარეესა და კონდანტრიოპულოს კლასიფიკაციით) დიფერენცირება ერთი საერთო წინაპრისაგან მის სხვადასხვა ნაწილში. ასეთებია *Betonica abchasica* (2n=16) დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანებზე; *B. ossetica* (Bornm.) Chinth. (2n=16) [58,59] ცენტრალურ კავკასიონზე. *B. nivea* Stev. – აღმოსავლეთ კავკასიონზე და *B. masandarana* - ჩრდილოეთ ირანში ელბურსზე. ამ შემთხვევაში გვაქვს კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი – წ ი ნ ა ა ზ ი ი ს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი რ ე ბ უ ლ ი ე ლ ე მ ე ნ ტ ი [57], რომელიც ერთიანდება გვარის სხვა სახეობებისაგან იზოლირებულ მწკრივში – Ser. *Niveae*. ლ. ხინთიბიძის აზრით, კავკასიონის სახეობების დიფერენცირება მოხდა *B. nivea*-საგან, რომელიც ერთდროულად გავრცელებული იყო კავკასიაში და წინა აზიაში. იგი მესამეულის რელიქტია. მის ფართო გავრცელებას განაპირობებდა ქსეროთერმულ პერიოდში კავკასიასა და წინა აზიას შორის განუწყვეტელი ფლორისტული კავშირების არსებობა. მეოთხეულ პერიოდში *B. nivea*-ს ერთიანი არეალი დაითიშა. ამას მოჰყვა კავკასია-წინა აზიის ცალკეულ ნაწილში ვიწრო გავრცელების დიპლოიდური გეოგრაფიული რასების ჩამოყალიბება. ამ რასებიდან შედარებით ძველად ითვლება *B. abchasica* და *B. masandarana* – წითელყვავილიანი რასები. ყველა ზემოჩამოთვლილი რასა ჰემიქსეროფილურია. ჰუმიდურ ცენტრებში გავრცელებულია გვარის ტეტრაპლოიდური სახეობები. ასეთია კავკასია-მცირეაზიური სახეობა *B. macrantha* K.Koch (*B. grandiflora* Willd.) (2n=32).



ხმელთაშუაზღვეთური გვარიდან უნდა დავასახელოთ გვ. *Omphalodes*, რომელიც კალცეფილურ კომპლექსში აგრეთვე დიპლოიდური სახეობებითაა წარმოდგენილი: *O. kusnetzovii* (2n=22), *O. lojkae* (2n=22). საერთოდ გვარში შეიმჩნევა არამყარი რიცხვის ქრომოსომთა დიპლოიდური წყება (2n=22, 24, 28, 42, 48) [58]. დიპლოიდებია აგრეთვე ხმელთაშუაზღვეთის სახეობები [*O. lusitanica* (L.) Pourn. 2n=24].

გვარ *Gentiana*-ს ჩამოყალიბების რამდენიმე ცენტრი გააჩნია. ერთია – თავისებური და ორიგინალური ევროპული ცენტრი. აქაურ სახეობებს კავშირი აქვს ატლასის მეზოფილურ ცენტრთან, რომელიც ქრომოსომთა სხვადასხვა დიპლოიდურ სახეობებს შეიცავს (*G. pyrenaica* L. 2n=26, *G. verna* L. 2n=28, *G. boryi* L. 2n=20) [58,59] კავკასიის მრავალი ენდემური კალცეფილური სახეობა ნათესაურ კავშირს იჩენს აღმოსავლეთაზიურ ფლორასთან. ეს საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ მათი ანცესტრალური ფორმების გავრცელების დრო [73]. ა.კოლაკოვსკის [32] მიხედვით, მათი ასაკი მიოცენით განისაზღვრება, რადგანაც პლიოცენიდან მოყოლებული დაიწყო ჰავის კონტინენტურობა კავკასია-ჰიმალაის შორის ტერიტორიაზე, ამას მოჰყვა მეზოფილური ელემენტების მიგრაციის შეწყვეტა. კალცეფილური სახეობების უმეტესობა ხაზმოფიტებია და სწორედ ისინი ამჟღავნებენ აღმოსავლეთაზიურ ნათესაურ კავშირებს. ასეთია *G. paradoxa*, *G. rhodocalyx*, *G. vittae* და აღმოსავლეთაზიური - *G. hexaphylla* Maxim, *G. tetraphylla* Kusn., *G. tenuifolia* (Pertie) (Ser. *Paradoxa*). დამოუკიდებელ მწკრივს შეადგენენ დიპლოიდური სახეობები *G. lagodechiana* (Kusn.) Grossh. (2n=26), *G. grossheimii* Doluch., *G. kolakovskyi* Doluch. (Ser. *Japhetidae*), რომლებიც აგრეთვე აღმოსავლეთაზიური ნათესაური კავშირებით ხასიათდება. ამრიგად, ჩამოთვლილი სახეობები პეტროფიტებია, რომელთა ჩამოყალიბება მიმდინარეობდა უძველესი ხმელთაშუაზღვეთური ოლქის აღნიშნულ პირველად სტაციებზე.

საინტერესოა სამხრეთკავკასია-ანატოლიის არაკალცეფილური სახეობის *Ranunculus obesus* Trautv.-ის მორფოლოგიური მსგავსება ანატოლია-ბალკანურ *R. fibrilosus* K.Koch-თან. მორფოლოგიურ მსგავსებასთან ერთად, ორივე სახეობა ტეტრაპლოიდია (2n=28). ისინი განიხილებიან პალეოტეტრაპლოიდურ სახეობებად, რომელთა დიფერენცირება დამოუკიდებელ სახეობებად მესამეულ პერიოდში უნდა მომხდარიყო [63,65] (სურ. 6).



სურ. 6. მცირეკავკასია-ანატოლიის სახეობის *Ranunculus obesus* Trautv.-ის არეალკარტოგრამა [Sect. Obesi (Ovcz.) Tschuradze stat. et sect. nov.] [2n=28] [63]

ზემოაღნიშნული მაგალითები საშუალებას იძლევა შევაჯამოთ ამიერკავკასიის კირქვიანების ფლორის ისტორია. იგი განხილულია ევქსინისა და ხმელთაშუაზღვეთის აუზების ისტორიის ფონზე. არეალების ანალიზი, სახეობების სისტემატიკური კავშირები და მათი კარიოლოგიური მონაცემები გვიჩვენებს, რომ უმეტესი სახეობებისა შეიძლება ჩამოყალიბებულიყო სანაპიროს კირქვიანების კლდოვან მთაგრეხილებზე, რომელთა ანცესტრალურ სახეობებს ჰქონდათ ცირკუმევქსინური და ხმელთაშუაზღვიური გავრცელება. შავი ზღვის კონფიგურაციისა და ევქსინის აუზის ჩამოყალიბებასთან ერთად შავი ზღვის ღრმულის ფარგლებში (მიოცენის დასასრულსა და ანთროპოგენის დასაწყისში მ.მურატოვის, პ.ფეოდოროვის, ა.ჩეკუნოვის გამოკვლევებით) მიმდინარეობს წინაპარი სახეობების დიფერენცირება და ლოკალური გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი ვ ი კ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ი ს ან ქ რ ო მ ო ს ო მ უ ლ ი რ ა ს ე ბ ი ს ჩამოყალიბება შავიზღვისპირეთის ცალკეულ ნაწილში. ეს დიფერენციაცია შეიძლება განი-საზღვროს სახეობრივ ან ქვესახეობრივ დონეზე. ევქსინის აუზის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ფიტოქორიონებში (ყირიმ-ნოვოროსიისა და კოლხეთის ბოტანიკურ-გეოგრაფიულ პროვინციებში) სახეობათა დიდ უმრავლესობაში ქრომოსომთა რიცხვი

დიპლოიდური დარჩა, მაგრამ ისინი ახლონათესაურ კავშირში არიან ხმელთაშუაზღვეთის ოლქის კირქვიანების ფლორის წარმომადგენლებთან. მათ ვაკუთვნებთ ევქსინისა და ევქსინ-ხმელთაშუაზღვეთის ფლოროგენეტურ ელემენტს. ზოგიერთი პოლიპლოიდური არქიენდემი სისტემატიკურად განცალკევებით დგას სისტემაში. არქიენდემებსა და არაენდემურ არქისახეობებს შორის არის დიპლოიდური რასებიც. ისინი ფლოროგენეტურად ეკუთვნიან დასავლეთის კირქვიანების ენდემურ ელემენტს. მათი ჩამოყალიბება მიმდინარეობდა ავტოქტონურად პალეოგენიდან მოყოლებული, როცა ყალიბდებოდა კირქვიანი მასივები.

ანცესტრალური სახეობების მიგრაცია ევქსინისპირეთში შესაძლებელი იყო ოლიგოცენში ტეთისის მასივით, რომელიც გადაჭიმული იყო ირანს, მცირე აზიას, ბალკანებს, ეგეიდსა და ევროპას შორის [53,77]. მიოცენ-პლიოცენში, როცა წარმოიშვა არალო-კასპიისა და ევქსინის აუზები [48], შეწყდა ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებთან კავშირი და დამყარდა კონტინენტური კავშირები წინა აზიასთან. ამ დროს საფუძველი ეყრება კავკასია-წინააზიური გენეტიკური ელემენტის დიფერენცირებას. მსგავსი მაგალითები ზემოთ იყო განხილული.

ЛИТЕРАТУРА

1. З. И. Адзинба. Краткий анализ эндемичной флоры Абхазии. Сообщ. АН ГССР, 90, 19782.
2. З. И. Адзинба. Узкоареальные растения Абхазии. Тр. Сухумск. Бот. сада, 26,1980.
3. З. И. Адзинба. Известняковый эндемизм Колхидской флоры. Материалы научной сессии, посвященной 90-летию А.А.Колаковского. Сухуми. 2000.
4. Н. М. Альбов Очерк растительности Колхиды. Землеведение, 1. 1896.
5. З.Т. Артюшенко Амарилисовые СССР.Л. 1970.
6. В.Е. Восканян. Экология и числа хромосом некоторых видов высокогорных растений г. Арагац. Биол. журн. Армении, 27, 6. 1974
7. В. Е. Восканян Об экологии и числах хромосом растений верхней части альпийского и субнивального поясов горы Арагац. Биол. журн. Армении, 31, 10. 1978.
8. Р.И. Гагнидзе. Ботанико-географический анализ флороценотического комплекса субальпийского высокотравья Кавказа. Тбилиси. 1974
9. Р.И. Гагнидзе. Спектры географо-генетических элементов флороценотического комплекса субальпийского высокотравья Кавказа. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 33. 1976
10. Р. И. Гагнидзе Эколого-ценотическая характеристика и анализ вертикального распространения высокотравных видов Кавказа. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 34. 1977.
11. Р. И. Гагнидзе. История эндемичной кальцефильной флоры стран Эвксинского бассейна. Тезисы докл. VI делегат. съезда ВБО. Кишинев. 1978
12. Р.И. Гагнидзе а. Новые виды флоры Кавказа. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 37. 1981
13. Р.И. Гагнидзе б. Новый вид рода Heracleum L. с известняков Западной Грузии. Сообщ. АН ГССР, 101, 1. 1981
14. Р. И. Гагнидзе Кариологическое исследование флороценотических комплексов известняков Западного Закавказья. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 39. 1983.
15. Р.И. Гагнидзе Вопросы флорогенеза некоторых высокогорных флороценотических комплексов Кавказа по кариологическим данным. Теоретические и методические проблемы сравнительной флористики. Л. 1987.

16. Р.И. Гагнидзе М.И.Гачечиладзе Числа хромосом некоторых компонентов флороценотического комплекса субальпийского высокотравья Кавказа. Сообщ. АН ГССР, 63, 3. 1971.
17. Р. И. Гагнидзе, Л.М. Кемулариа –Натадзе И. А. Микеладзе 1974. Ботанико-географическое районирование Рачи (Западная Грузия). Пробл. бот., 12. Л.
18. Р.И. Гагнидзе, Л.М. Кемулариа – Натадзе Ботаническая география и флора Рача-Лечхуми. Тбилиси. 1985.
19. Р. И.Гагнидзе, П.Б.Чхеидзе. Числа хромосом некоторых видов флоры Кавказа. Сообщ. АН ГССР, 75, 3. 1974
20. Р. И. Гагнидзе П.Б.Чхеидзе. Числа хромосом некоторых видов флоры Большого Кавказа. Сообщ. АН ГССР, 79, 2. 1975
21. Р. И. Гагнидзе, Н.А.Маргалитадзе О юго-восточной границе Средиземноморской фитогеографической области. Сообщ. АН ГССР, 102, 1. 1981.
22. Р. И. Гагнидзе М.Е.Сохадзе Новый вид рода Potentilla L. с известняков Западной Грузии. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 38. 1982.
23. Р.И. Гагнидзе, М.В.Чурадзе Числа хромосом некоторых видов секции Chrysanthe рода Ranunculus (Ranunculaceae) Грузии. Бот. журн. 69. 1984.
24. Р.И. Гагнидзе, М.В.Чурадзе. Числа хромосом кавказских видов рода Ranunculus L. секции Chrysanthe (Ranunculaceae). Сообщ. АН ГССР, 117, 2. 1985
25. З.И.Гвинианидзе, Новый вид рода Dianthus L. с Кавказа. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 27. 1969
26. З.И.Гвинианидзе А.А.Авазнели. Кариологическое исследование флористических комплексов. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 36. 1980
27. М.Т.Давлианидзе Числа хромосом некоторых растений Кавказа. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 36. 1980.
28. Л.М.Кемулариа–Натадзе К систематике кавказских представителей рода Aster L. Тр. Тифл. бот. инст., 1. 1933.
29. А.А.Колаковский Ботанико-географическое районирование Колхиды. Тр. Сухумск. бот. сада, 9. 1958.
30. А.А.Колаковский. Растительный мир Колхиды. М. 1961
31. А.А.Колаковский Новый декоративный колокольчик с известняков Абхазии. Бюлл. Главн. бот. сада, 102. 1976.
32. А.А.Колаковский Новые данные к таксономии и истории некоторых кавказских горечавок. Сообщ. АН ГССР, 92, 1. 1978.
33. А.А.Колаковский Еще два новых монотипных рода колокольчиковых для флоры СССР. Сообщ. АН ГССР, 103, 1. 1981.
34. А.Ю.Магулаев. К цитогеографии некоторых Dipsacaceae Северного Кавказа. Пробл. бот. 14. Новосибирск. 1979.
35. Т.К.Мардалеишвили Новый вид гулявника (Sisymbrium L.) из Западной Грузии. Сообщ. АН ГССР, 98, 2. 1980.
36. А.И.Погосян, С.Г.Наринян, В.Е.Восканян. К кариологическому изучению флоры горного массива Арагац. Биол. журн. Армении, 22, 10. 1969
37. А.И.Погосян, С.Г.Наринян, В.Е.Восканян Материалы к кариогеографическому изучению растений верхней части альпийского пояса г. Арагац. Биол. журн. Армении, 23, 7. 1970.
38. А.И.Погосян, С.Г. Наринян, В.Е. Восканян Биол. журн. Армении, 24, с 11.
39. А.И.Погосян, С.Г. Наринян, В.Е.Восканян Материалы к кариогеографическому изучению флоры массива Арагац. Биол. журн. Армении, 27, 8. 1974.
40. А. П. Соколовская, О.С.Стрелкова1940. Кариологическое исследование высокогорной флоры Главного Кавказского хребта и проблема географического распределения полиплоидов. Докл. АН СССР, 29, 5-6.
41. А. П.Соколовская, О.С.Стрелкова Географическое распределение полиплоидов, III. Исследование флоры альпийской области Центрального Кавказского хребта. Уч. зап. Ленингр. пед. инст. 66. 1948
42. Е.В.Сохадзе О месте высокогорной растительности в системе ботанико-географического районирования горных стран. Пробл. бот. 14. Новосибирск. 1979.
43. Е. В. Сохадзе Известняки и растительность. Тбилиси. 1982.
44. Е. В.Сохадзе , М. Е. Сохадзе К ботанико-географической характеристике горной части из вестняков Западной Грузии. Бюлл. МОИП отд. биол., 19, 2. 1964.
45. Е. В. Сохадзе М. Е. Сохадзе О сниженной высокогорной растительности в известняково-карстовых районах Западной Грузии. Пробл. бот. 8. М.-Л. 1969.
46. А. Л. Тахтаджян 1978. Флористические области Земли. Л.

47. И.И.Тумаджанов,Р.К. Беридзе К кариогеографическому изучению представителей верхнеальпийской аднивальной флоры Большого Кавказа. Бот. журн. 53, 1. 1968.
48. П. В. Федоров Плейстоцен Понто-Каспия. М. 1978.
49. А. Л. Харадзе. Эндемичный гемиксерофильный элемент высокогорий Большого Кавказа. Пробл. бот. 5. М.-Л. 1960
50. А.Л. Харадзе. К ботанико-географическому районированию высокогорий Большого Кавказа. Пробл. бот. 8. М.-Л. 1966
51. А.Л. Харадзе. К флорогенезу кавказских колокольчиков. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 28. 1970
52. А.Л. Харадзе. К изучению палеоэндемиков в высокогорьях Большого Кавказа. Сообщ. АН ГССР, 66, 3. 1972.
53. А.Л. Харадзе. О некоторых флорогенетических группах эндемов Большого Кавказа. Пробл. бот. 12. Л. 1974
54. А.Л. Харадзе З.И. Гвинианидзе М.Т. Давлианидзе. К кариологическому изучению субнивального флористического комплекса. I. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 30. 1973
55. А. Л. Харадзе, З. И.Гвинианидзе, М.Т. Давлианидзе. К кариологическому изучению представителей флоры субнивального комплекса. Пробл. бот. 13. Баку. 1977
56. А. Л. Харадзе, Р.И. Гагнидзе. Обзор гемиксерофильного эндемичного элемента флоры Новороссийской подпровинции Кавказа. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 28, 1970.
57. Л. С. Хинтибидзе Новые данные к изучению Betonica nivea s.l. Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 16. 1961.
58. Хромосомныечислацветковых растений. 1969.
59. Хромосомныечисла цветковых растений СССР. 1,2 т.1992..
60. М. В. Чурадзе Заметки о некоторых видах рода Ranunculus флоры Кавказа. Зам. сист. Геогр. раст. (Тбилиси) 37. 1981.
61. М. В. Чурадзе Таксономические заметки о комплексе вида Ranunculus raddeanus Regel. Сообщ. АН ГССР, 106, 2. 1982.
62. М. В. Чурадзе Критическая заметка о виде Ranunculus caucasicus Bieb. Собщ. АН ГССР, 115. 3. 1984.
63. М. В Чурадзе. Система секции Ranunculus (s. str.) рода Ranunculus L. (Ranunculaceae). Зам. сист. геогр. раст. (Тбилиси) 44-45, 2004.
64. А.С. Шхиян. Филогенетические связи ворсянковых (Dipsacaceae Juss) Кавказа. Флора, растительность и растительные ресурсы Армянской ССР, 7. Ереван, 1981
65. M.Baltisberger . Cytological investigation of some plants from Turkey. Willdenowia, 21 (1/2)1991.
66. T.Cheishvili, M.Churadze Diversity of Endemic Flora of Imereti (West Georgia). Proceedings of the Georgian Academy of Sciences. Biol. ser. B, vol. 4, N 2, 2006.
67. F.EhrendorferMediterranmitteleuropäischeFlorenbeziehungenimLichtecytotaxonomischerBefunde.Fed desRepertorium,81,1-5.1970.
68. C.Favarger.Essaisurl'endemisme.Bull.Soc.Bot.Suisse,71,1961
69. C.Favarger. Cytologie et distribution des plantes.Biol.Rev.,42,2,1967
70. R.Gagnidze. Situation phytogéographique de la Géorgia. Les limites de la"regionmediterranenne".LaGéographieen Géorgie(ed-s:J.F.Richar,N.Berou-tchachvili).Orstom,Paris.1998
71. R.GagnidzeArealogical review of Colchicevergreen Broad leave dmesophylous dendroflora species.Recent Shifts in Vegetation Boundaries of Deciduous Forests. Especially Du etoGeneral Global Warming (ed-s:F.Klötzli,G.R.Walther).BirkhäuserVerlag,Basel-Boston-Berlin.1999.
72. R.Gagnidze,Ts.Gviniashvili,Sh.Shetekauri,N.MargalitadzeEndemicgeneraoftheCaucasianflora.FeddesR epertorium,111,7-8,Berlin.2002.
73. R.Gagnidze,Ph.Küpfer,JuanJ.M.1992.ChromosomenumbersofsomeGentianaceaefromtheCaucasus.Bull. delaSociéteNeuchateloisedesSciencesnaturelles,115.Suisse.
74. J.Holub,V.Jarásek.ZurVerienheitlichungderTerminologieinderPhytogeographie.FoliaGeobot.Phytotax., 2,1. 1967
75. J.Holub,V.Jarásek.TerminologieSlovnicekterminu.Preslia,43,1. 1971
76. N.Kachidze.Karyologische StudienüberdieFamiliederDipsacaceae.Planta,7,4. 1929
77. Ph.KüpferRecherchessurlesliensdeparentéentrelafloreorophiledesAlpesetcelledes Pyrénées.Boissiera,23.1974.
78. G.Stebbins Rarity of plant species: asyntheticvim point.Rhodora,82,829.Ledyard.1980.
79. N.Zazanashvili, R.Gagnidze, G.Nakhutsrishvili.High MountainVegetation on the new vegetation map of Georgia. Journ.VegetationScience,6.1995.
80. N.Zazanashvili,R.Gagnidze,G.Nakhutsrishvili a. Maintypes of Vegetation on the Mountains of the Caucasus.Proceedings IAVS Symposium. IAVS:OpulusPressUppsala, Sweden. 2000

81. N.Zazanashvili,R.Gagnidze,G.Nakhutsrishvili b. Small-scale Mapping of High Mountain Vegetation of Georgia.Bull.oftheGeorgianAcad.of Sciences,161,2. 2000
82. M.Zohary.GeobotanicalfundationsoftheMiddleEast.1,2.Stuttgart,Amsterdam. 1973

რეზიუმე

დასავლეთ ამიერკავკასიის იშვიათი და ენდემური კალცეფილური მცენარეების კარიოგეოგრაფიული ანალიზი

რ.გაგნიძე, მ.ჭურაძე, თ.ჭეიშვილი

შესწავლილია დასავლეთ ამიერკავკასიის კალცეფილური კარიოგეოგრაფია. სახეობების *Aristolochia pontica* Stev. 2n=12, *Epimedium colchicum* (Boiss.) Trautv. 2n=12, *Amphoricarpos elegans* Albov 2n=22, *Kemulariella colchica* (Albov) Tamamsch. 2n=12, *Leptopus colchicus* (Fisch.etMey.) Pojark. 2n=12, *Gentiana oschtenica* (Kusn.) Woronow 2n=26, *Betonica abchasica* (Bornm.) Chinth. 2n=16, *Scutellaria helenae* Albov 2n=22, *Ranunculus grossheimii* Kolak. 2n=16, *R.helenae* Albov 2n=16, *Daphne pseudosericea* Pobed. 2n=18, *Astrantia colchica* Albov 2n=14, *Heracleum calcareum* Albov 2n=22 ქრომოსომათა რიცხვი პირველადაა დათვლილი.

კარიოლოგიური და ბოტანიკურ გეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე ევქსინის აუზის ისტორიის ფონზე, განხილულია დასავლეთ ამიერკავკასიის კირქვიანების ფლორის ფორმირება და განვითარება. დადგენილია, რომ ევქსინის აუზის ჩრდილოეთი და აღმოსავლეთ იფიტოქოიზიონების მრავალი კალცეფილური და ფაკულტატური სახეობა დიპლოიდია და ინარჩუნებს ფლოროგენეტიკურ კავშირებს ხმელთაშუაზღვეთის ოლქის კალცეფილური ფლორის წარმომადგენლებთან. ეს სახეობები შეიძლება მიეკუთვნონ ევქსინის ფლოროგენეტიკურ ელემენტს. სისტემატიკური თვალსაზრისით დიპლოიდური სახეობების ნაწილი იზოლირებულია, პოლიპლოიდური ენდემური სახეობები კი არქიენდემებს ან უპალეოპოლიპლოიდებს მიეკუთვნებიან.

შრომაში მოყვანილი სახეობების ქრომოსომათა რიცხვის გარდა მითითებულია საჰერბარიუმო ნიმუშის ნომერი, შესწავლილი სახეობების ადგილსამყოფელი, კოლექტორი, აგრეთვე ნიმუშების შენახვის ადგილი (TBI – თბილისის ბოტანიკის ინსტიტუტი; TB – თბილისის სახემწიფო უნივერსიტეტი)

Summary

CARIOGEOGRAPHICAL ANALYSES OF RARE AND ENDEMIC CALCIFIL PLANT OF WEST AMIERCAUCASUS

R.Gagnidze,M.Churadze,T.Cheishvili

It has been investigated the cariogeograohyofrare and endemic species: *Aristolochia pontica* Stev.2n=12, *Epimedium colchicum* (Boiss.) Trautv. 2n=12, *Amphoricarpos elegans* Albov 2n=22, *Kemulariella colchica* (Albov) Tamamsch. 2n=12, *Leptopuscolchicus* (Fisch.etMey.) Pojark. 2n=12, *Gentiana oschtenica* (Kusn.) Woronow 2n=26, *Betonica abchasica* (Bornm.) Chinth. 2n=16, *Scutellaria helenae* Albov 2n=22, *Ranunculus grossheimii* Kolak. 2n=16, *R.helenae* Albov 2n=16, *Daphne pseudosericea* Pobed. 2n=18, *Astrantia colchica* Albov 2n=14, *Heracleum calcareum* Albov 2n=22. the number of chromosomes has been counted firstly.

Based on cariological and botanic-geographical analyse, on the base of Evxsonpond, it has been discussed development and formation of Caucas limestone flore. It has been defined, that most of species of north and east Evxsonp on disdiploid and preservs the florogenetical relationship with representative sofcalcefil flore of mediteranian district. These species could be awarded as Evxsonpond's florogenetical element. In point of vue of sistematization, the part of diploidic species are isolated, however the poliploidic endemic species represent arqiendems or paleopoliploids.

A part of the given number of chromosomes, it is shown the number of herbarium, the area of investigated species, collector, and the location of samples storage (TBI-Tbilisi Botanical Institute,TB-Tbilisi State University)

Резюме

КАРИОГЕОГРАФИЧЕСКИЙ АНАЛИЗ РЕДКИХ И ЭНДЕМИЧНЫХ РАСТЕНИЙ ИЗВЕСТНЯКО В ЗАПАДНОГО ЗАКАВКАЗЬЯ

Р.И.Гагнидзе,М.В.Чурадзе,Т.Г.Чейшвили

Исследована кариогеография редких и эндемичных видов кальцефильных флороценотических комплексов Западного Закавказья. Числа хромосом видов *Aristolochia pontica* Stev. 2n=12, *Epimedium colchicum* (Boiss.) Trautv. 2n=12, *Amphoricarpos elegans* Albov 2n=22, *Kemulariella colchica* (Albov) Tamamsch. 2n=12, *Leptopus colchicus* (Fisch.et Mey.) Pojark. 2n=12, *Gentiana oschtenica* (Kusn.) Woronow 2n=26, *Betonica abchasica* (Bornm.) Chinth. 2n=16, *Scutellaria helenae* Albov 2n=22, *Ranunculus grossheimii* Kolak. 2n=16, *R.helenae* Albov 2n=16, *Daphne pseudosericea* Pobed. 2n=18, *Astrantia colchica* Albov 2n=14, *Heracleum calcareum* Albov 2n=22 установлены в первые.

На основе кариогеографического и ботанико-географического анализа рассматривается развитие и формирование кальцефильной флоры Западного Закавказья на фоне истории Эвксинского бассейна. Выявлено, что в фитохорионах северной и восточной частей Эвксинского бассейна хромосомные числа многих кальцефильных и факультативных для известняков видов остались на диплоидном уровне и сохранили флорогенетические связис представителями кальцефильной флоры Средиземноморской области. Они отнесены авторами к эвксинскому флорогенетическому элементу. Часть диплоидных видов в систематическом отношении является изолированной. Полиплоидные эндемичные виды [напр.*Kemulariella caucasica* (Willd.) Tamamsch. 2n=18, *Campanula mirabilis* Albov 2n=102] являются архиэндемами или палеополиплоидными эндемами.

В работе, помимо чисел хромосом, указываются номера соответствующих гербарных образцов. местосбора, коллектор и местохранения исследованных экземпляров (TBI–Инст. ботаники Тбилиси; TB–Тбилисский государственный университет).

გამომცემლობა „პასიანი“, თბილისი, კოსტავას 77